დანართი №3

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი
წევრები:
ნინო რამიშვილი
ირმა არსენაშვილი
თამარ ახალაძე
ხათუნა ფარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 6 მაისი №492052 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 28-30 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“, ქ. გორი, ბესიკის ქ. №2, დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №154 გადაწყვეტილებით. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
მებოსტნეობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	დუალური	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
მეხილეობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	დუალური	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
მეფუტკრეობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	დუალური	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
მოდის დიზაინი და ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მებოსტნეობა	36	16	0	4
მეხილეობა	36	23	0	1
მეფუტკრეობა	12	0	0	0

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- ✓ კოლეჯ ,,განთიადს“ საუკეთესო გამოცდილებად შესაძლოა განისაზღვროს უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის, როგორც გრძელვადიანი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით, ასევე მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების კუთხით. შიდა ქართლში მრავალფეროვანი ხეხილის თანამედროვე ჯიშებია გაშენებული, აღნიშნული დარგი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად მუდმივად საჭიროებს ცვლილებებს და ახალი ნოვაციების დანერგვას. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს: ,,ვაშლის, ალუბლის, მსხლის და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ და ,,ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში“. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელთა მოძიება, რომლის პოვნაც საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა. კოლეჯი თანამშრომლობს კომპანიებთან შპს ,,ბაღების მართვის კომპანია“, შპს ,,ტირიფონის ხილი“. მიუხედავად იმისა რომ პარტნიორი ორგანიზაციები აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკით, ისინი საჭიროებენ კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებს, გამოცდილებას და თანამედროვე სწავლების მეთოდებს. ამდენად, პროფესიული გადამზადების პროგრამის - ,,ვაშლის, ალუბლის, მსხლის და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ კოლეჯმა თურქეთიდან მოიწვია პროგრამის განმახორციელებელი პირი მუსტაფა საქალდაში, ხოლო პროგრამის „ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბაღებში“, კოლეჯმა მოიწვია გერმანელი სპეციალისტი ჰანს იოსეფ ვებერი.
  ასევე, გერმანელი ექსპერტი ჰყავდა კოლეჯს მოწვეული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „შედუღების ფარგლებში.
  უცხოელი სპეციალისტები პერიოდულად სტუმრობენ კოლეჯს და პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს და მასწავლებლებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
მებოსტნეობა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მეხილეობა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მეფუტკრეობა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.1.1., დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, შესაბამისობა სტანდარტთან ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც მეტწილი, ვინაიდან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებას ვადა აქვს 2025 წლის აგვისტომდე, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ამდენად, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2025 წლის აგვისტომდე.

ინდიკატორი 5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, მეტწილ შესაბამისობაშია.
დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ინგლისურენოვანი ვებგვერდის მომზადება.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა - პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - პსდ-ს მიერ ანგარიშის, შესრულების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება არ ხდება. შესაბამის ინფორმაციას არ მოიცავს არც შეხვედრის ოქმები. განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს არა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ, არამედ მოახდინოს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და შეფასების შესახებ დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა. იხ. ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 3.2.2.3. *რეკომენდირებულია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მესამე სტანდარტის კითხვარში დაამატოს ისეთი კითხვა, რომელიც დაადგენს პროფესიული სტუდენტი არის თუ არა დასაქმებული და თუ დასაქმებულია შეესაბამება თუ არა მისი დასაქმების სფერო პროფესიას. აღნიშნული მონაცემი დაწესებულებას გაუმარტივებს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლას. (იხ. ინდიკატორის აღწერა)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 4.1.2.3. *რეკომენდებულია, დაწესებულებამ თანამშრომელთა პირადი საქმეები დაორგანიზოს იმგვარად, რომ შესაბამის პოზიციაზე დანიშნული პირის მხოლოდ ის დოკუმენტები იყოს წარმოდგენილი, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. (რამდენიმე ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში გარდა ვადიანი პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტისა, მოცემული იყო ვადაგასული პირადობის მოწმობის ასლიც, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ისეთი ცნობები, რომელთა წარმოდგენისა და შენახვის აუცილებლობა არ არსებობდა.) ეს გაამარტივებს სამუშაო პროცესის მიმდინარეობას.* იხ. ინდიკატორის აღწერა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
   პსდ-ს მისია თანხვედრაშია პროფესიული განათლების მიზნებთან. ორიენტირებულია, ხარისხიანი განათლების მიწოდება-დასაქმებით, ინდივიდის პიროვნულ-პროფესიული და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე. მისია ლაკონური, ნათლადა ჩამოყალიბებული და გასაგებია პერსონალისა და სამიზნე ჯგუფებისთვის, რასაც ადასტურებს პერსონალთან გასაუბრების და პსდ-ს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიც.
   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, **დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.1-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**

2. კოლეჯი, რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, მრავალპროფილურია და ცდილობს, მოიცვას ყველა სექტორი, რომელიც ადგილობრივ ბაზარს სჭირდება, მისიიდან გამომდინარე კოლეჯი ცდილობს მოამზადოს როგორც კვალიფიციური კადრი, რომელსაც შეეძლება როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე იყოს მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი, ისე ზნეობრივი ღირებულებების მქონე, ემსახურება საზოგადოების ღირსეული წევრების აღზრდას და მათ დასაქმებას. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.2.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები - მისიიდან გამომდინარე, პსდ-ს განსაზღვრული აქვს ხედვა - **2026 წლისთვის იყოს რეგიონში წარმატებული სასწავლებელი, რომელიც ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების განხორციელებით და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის.**
   პსდ-ს ხედვის მიღწევას უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დაგეგმილი აქტივობები.
   პსდ-ს მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე ასევე განსაზღვრული აქვს ღირებულებები, რასაც ეფუძნება პსდ-ს შიდა ორგანიზაციული კულტურა, ესენია: პროფესიონალური სწავლება, ინკლუზიურობა და ემპათია, გენდერული თანასწორობა, ბაზრის საჭიროებებზე მორგება, თვითგანვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა, დასაქმებაზე ზრუნვა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა, თანამედროვე და ინტერნაციონალური პრაქტიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში. დაწესებულება საქმიანობას წარმართავს აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით.
   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.3.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, მისი შემუშავების საკითხებთან ერთად დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება-განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებსა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმებს აღწერს. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაა (არსებობის შემთხვევაში, გადახედვა). მისიისა და ხედვის შემუშავების/გადახედვის პროცესი პსდ-ში გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების, დამფუძნებლების აქტიური მონაწილეობით ხდება და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას დადგინდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების, მათ შორის, მისიისა და ხედვის შემუშავება, პსდ-ში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა, რის დასტურადაც წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის და დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვედრებისა და მიმოწერის მტკიცებულებები.
   პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული აქვს დაწესებულების ვებგვერდზე, დაწესებულების კონტენტის დოკუმენტებს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, თვალსაჩინოდაა განთავსებული ასევე დაწესებულების შენობაში, პსდ-ს მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა ხდება ახალი პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

   წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებებისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - გამომდინარე, პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (დამტკიცების თარიღი: 16.10.2020 წ. ბრძანება №74 , ცვლილების თარიღი: 02.10.2024 ბრძანება №70)
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფის/დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
- პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
- პსდ-ს ვებგვერდი: https://gantiadi.ge/
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. აღნიშნული საკითხების მეთოდოლოგიას მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირების, შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
   სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება ხორციელდება დირექტორის მიერ განსაზღვრული ჯგუფის მიერ. პროექტის მომზადების პროცესში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, პსდ-ს ძლიერი, სუსტი მხარეების განსაზღვრისა და მის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარების მიზნების/ამოცანების იდენტიფიცირების და შეთანხმების მიზნით. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ხდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით, პერსონალთან გასაუბრებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის ოქმები/მასალები, სამოქმედო გეგმის შესრულების საინფორმაციო შეხვედრის დოკუმენტები, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები) დგინდება, რომ დაწესებულება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს დაგეგმვის პროცესებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

2. პსდ სტრატეგიული დაგეგმვისას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა ჩართვასა და მათი მოლოდინების, მ.შ. ქვეყნის/რეგიონული/თემის პრიორიტეტების გათვალისწინებას. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებით ირკვევა, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართული იყო: პსდ ყველა ფუნდამენტურ პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

   პსდ-ს დირექტორის განმარტებით, სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული იქნა დაინტერსებული მხარეების მოლოდინები და დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელდა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების შესაბამისი ღონისძიებები ასახულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.2.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2020-2026 წწ) დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. განსაზღვრულია მიზნების/ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ანალოგიური სტრუქტურა აქვს წლიურ სამოქმედო გეგმებსაც. გეგმებში არაა ფინანსურ რესურსი მითითებული, თუმცა დაწესებულების დირექტორის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პსდ-ს ბიუჯეტში გამოყოფილი ფონდები, ითვალისწინებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებისთვის საჭირო რესურსებს. რაც ასევე დასტურდება 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმების შესრულებულების ანგარიშებით.

   პსდ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 6 მიზანი, რომლებიც მოიცავენ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ხარისხის მართვის სისტემის უწყვეტ განვითარებას; ასევე ადამიანური რესურსების განვითარებასა და დაწესებულების ცნობადობის ამაღლებას.

   2025 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს, მიმდინარე წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, შესაბამისად გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალთან გასაუბრებით, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და სამოქმედო გეგმების ანგარიშებით დასტურდება პსდ-ს მიერ სამოქმედო გეგმების შესრულება/საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.3-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (დამტკიცების თარიღი: 16.10.2020 წ. ბრძანება №74 , ცვლილების თარიღი: 02.10.2024 ბრძანება №70)
- პსდ-ს 2024 და 2025 წლების სამოქმედო გეგმები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები
- ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
- პსდ-ს ვებგვერდი: https://gantiadi.ge/
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
- პსდ-ს ფინანსური დოკუმენტაცია (2024 წლის ფინანსური ანგარიშგება და 2025 წლის ბიუჯეტი)
- კოლეჯის ანგარიში 2024
- სამსახურებრივი ბარათი ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას შესრულების ინდიკატორების არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს თვალი ადევნოს გეგმის განხორციელებას და დროულად აღმოაჩინოს შექმნილი სირთულეები. მონიტორინგი არის გეგმის შესრულების თვალყურის დევნება და დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასება. მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია გეგმიდან "გადახვევების" დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი ზიანის დადგომამდე. მონიტორინგი აგრეთვე ეხმარება კოლეჯს თანამშრომლებისთვის შესრულებულ ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებაში. სამუშაოსთან დაკავშირებით მონოტორინგის პროცესი პირობითად 3 ერთმანეთთან დაკავშირებული ნაბიჯია: მონაცემთა შეგროვება, მათი ანალიზი და რეაგირების მოხდენა; მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი (მონიტორინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმახორციელებელი პირი) აგროვებს იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის შესრულების ინდიკატორის გრაფაში. შემდეგ ხდება შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში. მონიტორინგის პროცედურა ხორციელდება, როგორც ანგარიშების წარდგენით, ინფორმაციის გამოთხოვით პასუხისმგებელი პირებიდან ან/და ღია შეხვედრებზე განხილვით. პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება რეაგირება - გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის გრაფაში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად რომელ გრაფაში იქნება საჭირო ცვლილება, ჩამოთვლილთაგან, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე. მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგეს ცვლილების განხორციელების საჭიროება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებში მე-6 მუხლის შესაბამისად.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესის მონიტორინგის მიზნით, სხდომის რეჟიმში ხდება, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშგება (სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით - წელიწადში ერთხელ, სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით - 3 წელიწადში ერთხელ - პ.4.4). დოკუმენტისა და პსდ-ში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ და განიხილავენ ანგარიშებს მათ მიერ განხორციელებულ აქტივობათა შესახებ. ანგარიში მოიცავს შინაარსს: „რა გაკეთდა; რის განხორციელება შეფერხდა; რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალურობა და უნდა იქნას ამოღებული გეგმიდან, დაცულია განხორციელების ვადები და სხვა.'' პსდ-ს პრაქტიკით, აღნიშვნები შესრულების შესახებ კეთდება ასევე თავად სამოქმედო გეგმის დოკუმენტში/ცხრილში, რომლებიც თავსდება ვებ-გვერდზეც (განთავსებულია 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები). აღნიშნული ანგარიშის, შესრულების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება არ ხდება. შესაბამის ინფორმაციას არ მოიცავს არც შეხვედრის ოქმები. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს არა მხოლოდ შესრულების/არ შესრულების დადასტურება, არამედ შესრულების ამოცანების ეფექტურობის შეფასებაც და მოახდინოს შესაბამისი ინფორმაციის დოკუმენტირება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.2.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია: *სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს არა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ, არამედ მოახდინოს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და შეფასების შესახებ დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა.*

2. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების მიზანია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა. განხორციელების შეფასებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე, თუმცა შეიძლება მოწვეული იყოს გარე შემფასებელიც.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.2.2-ს შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია - სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია - სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური შედეგები ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით ვებგვერდზე. შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია 2022, 2023 და 2024 წლების ანგარიშები. ამასთან, პსდ მართავს შეხვედრებს შიდა დაინტერესებულ მხარეებთან (პსდ-ს დამფუძნებლები, სამეთვალყურეო საბჭო, პერსონალი, სტუდენტები) ანგარიშების/მიღწეული შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაზიარების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- სამსახურებრივი ბარათი ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ
- ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (დამტკიცების თარიღი: 16.10.2020 წ. ბრძანება №74 , ცვლილების თარიღი: 02.10.2024 ბრძანება №70)
- პსდ-ს 2024 და 2025 წლების სამოქმედო გეგმები
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები
- დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფის/დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები.
- პსდ-ს ვებგვერდი https://gantiadi.ge
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
- პსდ-ს ფინანსური დოკუმენტაცია
- კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2022,2023, 2024
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N72 ბრძანებით დამტკიცებულ** (ბოლო ცვლილება 2025 წლის 20 მაისი ბრძანება N 50)სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის მუხლები. გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცედურებს, როგორც შიდა მობილობის ასევე, გარე მობილობის შემთხვევებში. მოცემული დოკუმენტით დარეგულირებულია ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები და დეტალურად არის გაწერილი თუ რა შეიძლება იყოს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, მიზანი, აღიარების ეტაპები და ვადა, განცხადების წარდგენა და დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის პროფესიული სტუდენტის განცხადებას, კომისიის მიერ განცხადების განხილვის/შეფასების პროცედურა და გადაწყვეტილების მიღება, ფორმალური განათლების შედეგების აღიარების ასახვა საინფორმაციო სისტემაში, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმი, პირისათვის კრედიტების მინიჭების წესი, კრედიტების გადატანის(ტრანსფერის) მუხლი. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლში გაწერილი აქვს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლი არეგულირებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებას. კერძოდ, 10.8. პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმულირებით, „პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 10.9. პუნქტი - „პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს ან კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს, გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“. ამავე დოკუმენტის მე-12 მუხლი მოიცავს პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების წესს, (მოდულური და დუალური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების (აპელაციის) წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურასა და წესს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების მინიჭება ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე; სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი ასევე, განმავითარებელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში უფლება აქვს ერთხელ პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება. თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. იმ შემთხვევაში კი თუ მოდულს აქვს შესაბამისი წინაპირობა პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გავიდეს განმეორებით შეფასებაზე და დაადასტუროს მოდული/სწავლის შედეგი ერთი კვირის ვადაში. პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ზეპირსიტყვიერად შეფასებამდე ორი დღით ადრე. პროფესიული სტუდენტი მიღებული შეფასების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში უფლებამოსილია, ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით და შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიმართოს კოლეჯის დირექტორს განცხადებით, რომელსაც განიხილავს სააპელაციო კომისია და უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ან მიღებული შეფასების დატოვების თაობაზე. აღნიშნული შედეგები კი პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება ორი სამუშაო დღის ვადაში ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით. **კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს N 51 ბრძანებით** (ბოლო ცვლილება 2025 წლის 11 აპრილი ბრძანება N33) დამტკიცებული „აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი“ შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევით ჩარიცხვის წესსა და პირობებს. წესში გაწერილია შემდეგი მუხლები: დაინტერესებულ პირთა კონსულტირება, პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა(საბაზო, საშუალო და უმაღლესი საფეხურის პროფესიულ პროგრამებზე, მათ შორის დუალური და ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე), შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება, კომისიის შემადგენლობა, აპლიკანტთა შეფასება, რეიტინგული სიის შედგენა, ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება, სსსმ პირთა შერჩევა და ჩარიცხვა, აპლიკანტთათვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების წესი და პირობები, კოლეჯის მიერ ორგანიზებულ აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი. კოლეჯში დამტკიცებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა, რომელიც მიმდინარეობს მეცადინეობის განრიგის (სასწავლო ცხრილის) შესაბამისად, რომელსაც კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს. მეცადინეობის საათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეადგენს 50 წთ-ს, რომელთა შორის შესვენებისთვის განკუთვნილია 10 წთ, დიდი შესვენება კი მოიცავს 20 წუთს. **დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 31 მაისის ბრძანება N 32 დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“,** რომელშიც გაწერილია, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტებსა და კოლეჯის პერსონალს. სამუშაო საათები განსაზღვრულია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლის 10:00-დან 18:00 საათამდე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გატანის შემდეგი უფლებებით: მხატვრული ლიტერატურა - 2თვე; სასწავლო სახელმძღვანელო - ერთი სემესტრი (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არის საკმარისი რაოდენობა), თუ რაოდენობა არასაკმარისია - 1-7 დღემდე. ასევე, დაინტერესებული პირებისათვის, ბიბლიოთეკაში შესაძლებელია პრინტერით, ქსეროქსით, სკანერის აპარატითა და კომპიუტერით სარგებლობა.
დაწესებულებას კარგად აქვს გააზრებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და აპლიკანტთა ჩარიცხვის დოკუმენტში გაწერილი ყველა პუნქტი და თითოეულ პროცედურას ახორციელებს აღნიშნული წესების შესაბამისად, რომელიც დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში ადგილზე შეისწავლა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის და შეწყვეტის დოკუმენტები, ასევე, გარე მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც განხორციელებული იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 7-ის შესაბამისად და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების დოკუმენტაცია. აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის შესაბამისად, შესწავლილ იქნა აპლიკანტთა შერჩევის, (სამივე საფეხურის პროგრამის ფარგლებში, სსსმ სტუდენტთა შერჩევის ფარგლებში)შეფასების, ჩარიცხვისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები.**

2. პროფესიულ სტუდენტთათვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობა ევალება სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის კოორდინატორს. **კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის ნ28 ბრძანებით** (ბოლო ცვლილება 2025 წლის 11 აპრილი ბრძანება N35) დამტკიცებულ **„პერსონალის სამუშაო აღწერილობაში“** გაწერილია სასწავლო პროცესის და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში შემდეგი პუნქტები: პროფესიული სტუდენტების კონსულტირების გაწევა სწავლის დაწყების დღეებში ან/და ყველა ეტაპზე, ასევე საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის წინ; პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, პროფესიული სტუდენტებისთვის მხარდაჭერისა და დამატებითი კონსულტაციებისთვის გრაფიკის და კონსულტაციის ფორმების დადგენა; პროფესიული სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად კონსულტირება, ინფორმირება, დაგეგმვა და მონიტორინგი განხორციელებაზე. სასწავლო პროცესის/პრაქტიკის კოორდინატორი საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტებს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობების რამდენიმე პუნქტი დათმობილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას, როგორც კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძებნისა და დასაქმების საკითხებში ასევე, კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, სადაც პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ექნებათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ხარისხის მართვის მენეჯერს 2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის მიხედვით ჩატარებული აქვს კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება. აღნიშნული კვლევის შედეგებიდან დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები კარგად იცნობენ კოლეჯში არსებულ რეგულაციებსა და მათ უფლება-მოვალეობებს. გამოკითხული პროფესიული სტუდენტები ინფორმირებული არიან მათი უფლებების შესახებ სხვადასხვა გზით: რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობისას, კოლეჯში ჩარიცხვის შემდგომ, ხელშეკრულების გაფორმებისას, ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრაზე, შენობაში გამოკრული საინფორმაციო ფურცელიდან; ინფორმირებული არიან პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ამ შეფასების შედეგების გასაჩივრების (აპელაციის) წესების შესახებ, თუმცა აღნიშნული მექანიზმის გამოყენების საჭიროება არ დამდგარა; ჩარიცხვის შემდეგ, პროფესიულ სტუდენტებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კარიერულ კონსულტანტთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც გაიცნეს არსებული სტუდენტური სერვისები და დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები. გარდა აღნიშნული კვლევისა, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, მათთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. ინფორმირებულნი არიან შეფასების პროცედურებისა და გასაჩივრების წესების შესახებ, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების მხრიდან.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას და მათი ინტერესები და რჩევები ყოველთვის გათვალისწინებულია. **ზემოთაღნიშნული გათვალისწინებით ინიკატორი 3.1.1.2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს დაკმაყოფილებულია**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების მინიჭება ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე; სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი ასევე, განმავითარებელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში უფლება აქვს ერთხელ პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება. თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. იმ შემთხვევაში კი თუ მოდულს აქვს შესაბამისი წინაპირობა პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გავიდეს განმეორებით შეფასებაზე და დაადასტუროს მოდული/სწავლის შედეგი ერთი კვირის ვადაში. პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ზეპირსიტყვიერად შეფასებამდე ორი დღით ადრე. პროფესიული სტუდენტი მიღებული შეფასების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში უფლებამოსილია, ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით და შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიმართოს კოლეჯის დირექტორს განცხადებით, რომელსაც განიხილავს სააპელაციო კომისია და უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ან მიღებული შეფასების დატოვების თაობაზე. აღნიშნული შედეგები კი პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება ორი სამუშაო დღის ვადაში ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციების მიხედვით გაწერილი წესების შესაბამისად ახდენს მათ ინფორმირებულობას შეფასების სისტემისა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, თუმცა გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების საჭიროება არ დამდგარ, რადგან მათი თქმით, შეფასების პროცესები ობიექტურად და გამჭირვალედ მიმდინარეობს.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლითაც რეგულირდება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის არსებული ურთიერთობა. ხელშეკრულებებში გაწერილია ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები. კოლეჯი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გააცნოს კოლეჯის შინაგანაწესი, შეფასების მექანიზმები და გასაჩივრების პროცედურები, მისცეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მას ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა უსაფრთხო გარემოში. პროფესიული სტუდენტი კი, ვალდებულია დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესი და არსებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი ნორმები.

შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, როგორც მოდულური ასევე, დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, ხელშეკრულება გაფორმებულია, კანონიერ წარმომადგენელთან და თანდართულად ახლავს შემდეგი დოკუმენტები: კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სტუდენტის ფოტოსურათი. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობისა და დაწესებულებაში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

გადამოწმდა მოდულურ და დუალურ პროგრამებზე გაფორმებული ხელშეკრულებები, პირადი საქმე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელთა შინაარსიც სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და კოლეჯის რეგულაციებთან. ~თითოეული პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებას ახლავს დანართი, რომ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი თანახმაა დაწესებულებამ სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენოს/დაამუშაოს მათი პერსონალური მონაცემები საქართველოს კანონის შესაბამისად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.4ჰსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-14 მუხლში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება და პროცედურები პროფესიული სტუდენტისათვის, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება განსაზღვრულია შემდეგ შემთხვევებში: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხულ ან/და სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას(პროექტს) შეიმუშავებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს უნდა იცნობდეს ის პროფესიული სტუდენტი, რომლისთვისაც ის შედგა და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინება დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს. დაწესებულებაში დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც ძირითადად სსსმ/შშმ პირებთან არის დაკავშირებული. მტკიცებულებების სახით კოლეჯმა წარმოადგინა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მათი შემუშავებისა და განხილვის ოქმები, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმების დამტკიცების მიზნით წარდგენილი სამსახურებრივი ბარათი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობის შესახებ, პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც ხელმომწერი ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხების გაცნობის შესახებ ინფორმაციას. შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ადაპტირებული შეფასების ინსტრუმენტით. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გამოკითხა ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, პროფესიული მასწავლებლები, სსსმ პროფესიული სტუდენტი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხულ სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტისათვის იქმნება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც შედიან კონკრეტული პროგრამის მასწავლებლები, სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ისინი ეცნობიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას და მასში მოცემულ სწავლის პროცესში გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობენ აღნიშნულის მიხედვით.
როგორც პროფესიულმა მასწავლებელმა აღნიშნა ის ავსებს, სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტას, რომლის დახმარებითაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი დაადგენს პროფესიული სტუდენტის საჭიროებას და ერთობლივად მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნულ პროცესში ჩართულია უშუალოდ ის პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, რომლისთვისაც იქმნება ინდ. გეგმა.

ინდიკატორი 3.1.1.5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება N 72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 21 აგვისტოს N 51 ბრძანებით დამტკიცებული „აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2013 წლის 03 იანვრის N05 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობა“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მისი გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება, როგორც ფორმალური ასევე, სასწავლო პროცესს მიღმა განათლების მიმართულებით ახდენს სტუდენტთა კონსულტირებას ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების მიერ. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა სიახლესთან მიმართებით. მაგალითად, როგორიც არის, სწავლის შედეგების დადასტურების თარიღები, ინფორმაცია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ, პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების განრიგი და პრაქტიკის ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია.

   პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლის მხრიდან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავსი მხარდაჭერა ხორციელდება განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე პროფესიული მასწავლებლისგან და მათი ინდივიდუალური ინფორმირება ხდება კონფიდენციალურობის დაცვით. პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში (ზეპირად ან/და წერილობით) გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები,. კონსულტაციების გრაფიკს და ფორმებს (ელ. ფოსტა, დახურული ჯგუფი, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ადგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიულ მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.

   ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტებს ნებისმიერ დროს აქვს კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა კარიერის დაგეგმვის მენეჯერისგან. თუ რაიმე ხარვეზი ან სხვა გარემოება შეიქმნა, რომლსაც მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით პროფესიული სტუდენტის პრობლემის შესახებ ეცნობება კოლეჯის დირექტორს.

   კოლეჯს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-18 მუხლში გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები, რომელშიც აღწერილია, თუ რა მხარდაჭერის ღონისძიებები აქვს კოლეჯს შემუშავებული პროფესიული სტუდენტებისათვის.

   კოლეჯი ზრუნავს ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე და სწავლის პერიოდში მათ სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს. სტუდენტები მონაწილეობენ ასევე, სხვადასხვა გამოფენებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში და ა.შ, აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ხოლო სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებაზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტს.

   პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირების პროცესში გამოვლინდა, რომ დაწესებულება აქტიურად აწვდის ინფორმაციას მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით და როგორც ადმინისტრაციული პერსონალი ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თვალსაზრისით. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც პროფესიული მასწავლებელი ინდივიდუალურ კონსულტაციას უწევს მათ, სწავლის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებითაც.

გარდა, სასწავლო პროცესისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებისა, პროფესიულმა სტუდენტებმა და დაწესებულების კურსდამთავრებულებმა ყურადღება გაამახვილეს მათ ჩართულობაზე სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში, ასევე მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი აღმოჩნა დაწესებულების მხრიდან მათი დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება, რომელთან დაკავშირებითაც ინფორმაციას აწვდის მათ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

ინდიკატორი 3.2.1.1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რომელთან მიმართებითაც ინფორმაცია გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლში. პროფესიული სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით კოლეჯის სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში ან/და ყველა ეტაპზე, ხდება შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, შეფასების სისტემის, ქცევის და ეთიკის ნორმების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ. სასწავლო წლის პირველ დღეს და უწყვეტად, კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები აცნობენ კოლეჯის მოქმედ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე, ეცნობიან, ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აცნობს კოლეჯში არსებულ შრომის უსაფრთხოების წესს და პერიოდულად ატარებს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კოლეჯი ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და რეგულაციაში გაწერილი პუნქტების შესაბამისად მოქმედებს. მათ დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრები, როგორც სწავლის დასაწყისში ასევე, ზოგადად სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფარგლებშიც. აღნიშნული ფაქტი დასტურდება ფოტომასალით და გასაუბრებით ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

ინდიკატორი 3.2.1.2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია გონივრული ვადები პროფესიულ სტუდენტთათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიმართულებით, როგორიც არის ცნობის, სერტიფიკატის, დიპლომის გაცემა, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობა, ფორმალური განათლების აღიარება და სხვა, რომელიც და არ სცდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. ასევე, კოლეჯს რეგულაციაში მითითებული აქვს შეფასების გასაჩივრებისა და განმეორებითი გამოცდის ვადები, რომელზეც ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება მიმართვიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა პროფესიული სტუდენტისათვის ცნობისა და ფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც თანხვედრაშია რეგულაციაში გაწერილ ვადებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მათ გონივრულ ვადებში და ყოველთვის აქვს ღიაობა მათ მხარდასაჭერად. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.2.1.3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი დამატებითი არაფორმალური აქტივობების წახალისების მიზნით. კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს. სტუდენტები მონაწილეობენ ასევე, სხვადასხვა გამოფენებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში, საექსკურსიო-შემეცნებით და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებაში და ასევე კოლეჯი უზრუნველყოფს მათ წახალისებას. აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ხოლო სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებაზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტს.

   განსახორციელებელი ღონისძიებები ანონსდება სოციალური ქსელის მეშვეობით. ინიციატივების განხორციელებისთვის ინიციატორ სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად. წერილობითი განცხადების შემთხვევაში განხილვის ვადა არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. კოლეჯი განახორციელებს წლიურად სამი ინიციატივის მხარდაჭერას, დაკმაყოფილდება ის განაცხადი, რომელიც იქნება დასაბუთებული და მიზეზ-შედეგობრივი. წარმოდგენილ ინიციატივაზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას.

   დაწესებულება ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარებას კოლეჯში, მაგალითად: 1.სამკერვალო წარმოების სტუდენტებმა კოლეჯის შიდა სივრცეში მოაწყვეს საადღგომო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მათი ნამუშევრები აღნიშნული თემატიკის მიხედვით; 2.პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებმა გამართეს ღონისძიება „დედა ენის დღესთან“ დაკავშირებით; 3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ სტუდენტებმა, დაწესებულების მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს პროფესიული უნარების სააგენტოს დაგეგმილ კონკურსში პროექტები სამეწარმეო იდეების კუთხით; 4.კოლეჯის მხარდაჭერით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ მონაწილეობა მიიღო მწვანე და აგროსტიპენდიების კონკურსში; 5.პროფესიული სტუდენტების ინიციატივით მოეწყო სპორტული შეჯიბრება რეგიონში არსებულ სხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან.

   ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი პროფესიული სტუდენტების არაფორმალურ ღონისძიებებში მონაწილეობისა და მხარდაჭერის კუთხით, რომლებმაც ისაუბრეს ზემოთაღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით და წარმოადგინეს მტკიცებულებები ფოტო მასალის სახით. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუირების დროს დაადასტურეს მათი ჩართულობა და კოლეჯის მხარდაჭერა სტუდენტური ინიციატივების წახალისების კუთხით. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.2.1.4პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით (ბოლო ცვლილება:20.05.2025 N49). ხარისხის ციკლის „განახორციელე“ ნაწილში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართული აქტივობები დადგენილი პროცედურების შესაბამისად: სტუდენტთა/მსმენელთა, პროგრამის განმახორციელებელთა, კოლეჯში დასაქმებულთა ანონიმური გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის, გამოკითხულთა საჭიროებების დადგენის მიზნით; ანონიმური გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის, სწავლების ხარისხის, კოლეჯში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში; პროფესიულ სტანდარტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოწმდება: სასწავლო პროცესი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; შეფასების შედეგები; სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა და მისი შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებთან; საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და სასწავლო კურსების მოდულებში სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობა; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობა; ხარისხის ციკლის "გადახედე/გააუმჯობესე" ნაწილში ხდება შეუსაბამობების და ნაკლოვანებების მიზეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში - პროცესების შემდგომი გაუმჯობესების ან შენარჩუნების მექანიზმების შემუშავება.

ხარისხის მართვის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა კოლეჯში დამტკიცებული კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მის მიერ შემუშავებული კითხვარები ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, გაცემული რეკომენდაციები და შემდგომ განხორციელებული აქტივობები. მას 2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ლი,მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტის მიხედვით ჩატარებული აქვს კვლევები, რომლთა მიზანსაც წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილებისა და საჭიროებების დადგენა.

კვლევების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საჭიროებები: ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრა/განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება -შესახებ ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით; სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა არაფორმალური აქტივობების შესახებ; სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა კოლეჯის ვებ-გვერდის შესახებ. აღნიშნული საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისმა სამსახურებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც დასტურდება დასწრების ფურცელზე ხელმოწერებით. ხარისხის მართვის მენეჯერს მიღებული კვლევის ანალიზი და შედეგები გაზიარებული აქვს თითოეული ადმინისტრაციული პერსონალისათვის ელ-ფოსტის საშუალებით. კვლევების შედეგად გამოკვეთილ საჭიროებებზე ჩატარებული შეხვედრები დაადასტურა, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმაც. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დასტურდება ზემოთაღნიშნული პროცესების განხორციელება. **ინდიკატორი 3.2.1.5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება N 72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები";
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N24 ბრძანებით დამტკიცებული „კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია";
- პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევების კითხვარები 5-ვე სტანდარტის მიხედვით, მათი ანგარიშები, რეკომენდაციები და შესრულების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ ინიცირებული ღონისძიებები და მათი ამსახველი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პროფესიულ სტუდენტებთან პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ერთ-ერთი მუხლი დათმობილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ და კარიერულ მხარდაჭერას. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას დასაქმების ფორუმებში, კონკურსებში და ისეთ აქტივობებში, სადაც მათ შეუძლიათ, სხვადასხვა კომპანიების მხრიდან მიიღონ ინფორმაცია, გაეცნონ სამსახურის შეთავაზებებს და უშუალოდ ესაუბრონ დამსაქმებლებს. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას და მუდმივად აწვდის მათ განახლებულ ინფორმაციას დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი კარიერული ზრდის შესაძლებლობას.
   დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას მონაწილეობა მიიღონ ინოვაციურ პროექტებსა და კონკურსებში, რომელიც განავითარებს მათ უნარ-ჩვევებს , რაც დაეხმარებათ შემდგომი დასაქმების პერსპექტივაში. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას დამსაქმებლებისათვის კურსდამთავრებულების შესახებ მათი დასაქმების მიზნით და ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს სამოტივაციო წერილისა და რეზიუმეს შედგენის კუთხითაც. ასევე, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.
   გარდა, აღნიშნულისა დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან ერთად პოტენციურ სტუდენტებთან ატარებს შეხვედრებს, ეს იქნება რეგიონში არსებულ სკოლებში ვიზიტი, ღია კარის დღე, კოლეჯში ვიზიტები დაინტერესებულ პირთა მხრიდან თუ სხვა, სადაც დაინტერესებულ პირებს აწვდიან ინფორმაციას კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პოტენციური დასაქმების შესაძლებლობების, სტუდენტური აქტივობებისა და კონკურსების შესახებ და ა.შ. პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ბევრი პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, ასევე მათ მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, სკოლებში ვიზიტების ამსახველი დოკუმენტაცია(დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა), დაინტერესებული პირების კოლეჯში ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათი დასაქმების ხელშეწყობას და ის ცოდნა და უნარები, რომელსაც კოლეჯში იღებენ ეხმარებათ შემდგომი კარიერული განვითარების კუთხითაც. **ინდიკატორი 3.2.2.1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. პროფესიულ სტუდენტთა დახმარებაზე, საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში პასუხიმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც დასაქმების მიზნით პროფესიულ სტუდენტებს ფეისბუქის დახურულ ჯგუფში უზიარებს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმებისა და კარიერული განვითარების ღონისძიებების შესახებ. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული მის მიერ დაკავებული პოზიცია და ფუნქცია-მოვალეობები, აქედან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს რეგიონში არსებულ კოლეჯისათვის დასაქმების მხრივ ხელსაყრელ ორგანიზაციებთან და სთავაზობს მათ დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა ზემოთაღნიშნული პროცესების მიმდინარეობა.

ინდიკატორი3.2.2.2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია,

3. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილი აქვს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები, ინდიკატორები და ინსტრუმენტები, რომელშიც ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის ისეთი ინდიკატორების გამოყენება, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით და მოიცავს კომპონენტს, პროფესიით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობასთან დაკავშირებით (რამდენიმე წლის განმავლობაში), რომლის მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე პასუხიმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. კითხვარი კი შემუშავებულია კოლეჯის კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯმა ასევე განახორციელა კურსდამთავრებულთა კვლევა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შემუშავებული პლატფორმისა და კითხვარების მეშვეობით, რომელთა მონაცემებიც წარმოადგინა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა. ასევე, დაწესებულებას კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში სტანდარტების მიხედვით შედგენილი აქვს კითხვარები, სადაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს ისეთ კითხვებს, როგორიცაა თუ რამდენად ახორციელებს დაწესებულება მათი დასაქმების მხარდაჭერას და ინფორმირებულობას დასაქმების კუთხით.

წარმოდგენილი კვლევების მონაცემების, შემუშავებული კითხვარების, კვლევის მეთოდოლოგიისა და პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებით დასტურდება ზემოთაღნიშნული პროცესები.

ინდიკატორი 3.2.2.3პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით ***დაკმაყოფილებულია, თუმცა რეკომენდირებულია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მესამე სტანდარტის კითხვარში დაამატოს ისეთი კითხვა, რომელიც დაადგენს პროფესიული სტუდენტი არის თუ არა დასაქმებული და თუ დასაქმებულია, შეესაბამება თუ არა მისი დასაქმების სფერო პროფესიას. აღნიშნული მონაცემი დაწესებულებას გაუმარტივებს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლას.***

4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს კარიერული მომსახურების კვლევა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები, პროფესიული სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე კი დგინდება ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები, კონკრეტული პროფესიული უნარების განვითარების საჭიროება და ა.შ. კვლევების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გასაუმჯობესებელი მომსახურებები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საორგანიზაციო სტრუქტურაში, რომელშიც მოცემულია განსახორციელებელი აქტივობები და კონკრეტულ აქტივობაზე პასუხიმგებელი პირები.

ზემოთაღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კვლევის შედეგებით და ანალიზით, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია რეკომენდაციები და განხორციელებულია შესაბამისი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.2.2.4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება N 72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N24 ბრძანებით დამტკიცებული „კვლევის ჩატარების მეთოდოლგია“
- პროფესიული სტუდენტების , კურსდამთავრებულების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევების კითხვარები, მათი ანგარიშები, რეკომენდაციები და შესრულების მტკიცებულებები;
- პროფორიენტაციის შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

6. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრუქტურა, რომელიც შედგება დირექციის, ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლის, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის და შტატგარეშე თანამშრომლებისაგან. სტრუქტურის შესაბამისად კი, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის N 28 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია, ზოგადი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს პოზიციის დასახელებას, სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, ანგარიშვალდებულებას უშუალო ხელმძღვანელთან, დაქვემდებარებულ პერსონალს, ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად(განათლება, სამუშაო გამოცდილება, კომპეტენციები, უნარები), სამუშაოს შესასრულებლად რეკომენდირებულ კომპიუტერული პროგრამების და ენების ცოდნის დონეს, სამუშაოს ადგილმდებარეობასა და პირობებს, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობასა და სხვა ბენეფიტებს. მოცემული დოკუმენტი შესაბამისი პოზიციის მიხედვით, ხელმოწერილი სახით ახლავს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართის სახით. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შემოწმდა თითოეული ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე და შეფასდა ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაკავებული პოზიციებისთვის წარმოდგენილი კვალიფიკაციის დოკუმენტების შესაბამისობა მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესწავლილი „პერსონალის სამუშაო აღწერილობებიდან“, კოლეჯის სტრუქტურიდან და პერსონალის პირადი საქმეებიდან დასტურდება, რომ პსდში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულის პერსონალთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ ისინი კარგად იცნობენ და მკაფიოდ აქვთ გააზრებული მათი ფუნქცია-მოვალეობები. **ინდიკატორი 4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის N 28 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“, რომელითაც დარეგულირებულია, ადმინისტრაციული და დამხმარე/ტექნიკური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და უფლებამოსილებები. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები თანხვედრაშია კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან, სადაც პასუხისმგებელი პირები და ჩართული მხარეები განსაზღვრულია მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში პროცესების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ აქტივობებშიც შესაბამისი ფუნქციის თანამშრომელს აქვს პასუხიმგებლობა კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე. მაგალითად, ხარისხის მართვის მენეჯერს ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი აქვს: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. კოლეჯის 2025 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც, სტრატეგიული მიზანი 1. კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა ახალ სტანდარტებთან N 4 განსახორციელებელი აქტივობა არის, განაცხადის მომზადება რეავტორიზაციისთვის, აღნიშნულ პუნქტზე კი პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის მენეჯერს ეკისრება. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, დაწესებულებას კარგად აქვს გააზრებული ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების სწორად გადანაწილების მნიშვნელობის საკითხი. **ინდიკატორი. 4.1.1.2პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას დაკმაყოფილებულია.**

8. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია მოვალეობები, რომელიც მოიცავს: კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობას, კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შესახებ პერსონალის კონსულტირებას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას და შესრულების მონიტორინგს, პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებასა და შესრულების მონიტორინგს, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების ტრენინგებით უზრუნველყოფას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას, დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში კი დირექტორისთვის წარდგენას დასამტკიცებლად; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების პროექტის შეფასებას, დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში კი წარადგენს დასამტკიცებლად დირექტორთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მონიტორინგს; შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების, სწავლების ხარისხის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავებას; პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის კოლეჯში დასაქმებულთა, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების კვლევის კითხვარების შემუშავებას; პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის კოლეჯში დასაქმებულთა გამოკითხვის ანალიზი და საჭიროებს შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას და დირექტორისთვის წარდგენას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების მონიტორინგს; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციის და თვითშეფასების პროცესებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადების შევსების ორგანიზებას და პროცესის კოორდინირებას. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კოლეჯში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების, შეხვედრების და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების ვერიფიკაცია; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი; თვითშეფასება.

დაწესებულებას აქვს გაწერილი რეგულაცია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხარისხის ციკლის „დაგეგმე- განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე“ დანერგვის უზრუნველყოფა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი,, რომელიც ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში ასევე ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი და სხვა), პროგრამების განმახორციელებლები, ასევე კოლეჯის დამხმარე პერსონალი.

ხარისხის ციკლის „დაგეგმე“ ნაწილში ხარისხის მართვა ითვალისწინებს ჩასატარებელი სამუშაოს დაგეგმვას.

ხარისხის ციკლის „განახორციელე“ ნაწილში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართული აქტივობები დადგენილი პროცედურების შესაბამისად: სტუდენტთა/მსმენელთა, პროგრამის განმახორციელებელთა, კოლეჯში დასაქმებულთა ანონიმური გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის, გამოკითხულთა საჭიროებების დადგენის მიზნით; ანონიმური გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის, სწავლების ხარისხის, კოლეჯში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში; სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით საჭიროებისამებრ უტარდება ტრენინგები პროგრამის განმახორციელებლებს კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების შესახებ; ხდება სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა.

ხარისხის ციკლის „შეაფასე“ ნაწილში ფასდება შესრულებული აქტივობების შედეგები წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად სასწავლო პროცესის შეფასება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება; ვერიფიკაციის შედეგები. შეფასების ეტაპზე უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს და შესაბამისად, მოიძებნოს მიზეზები. პროცესი მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რამდენიმე ეტაპს: შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას, სამუშაო ჯგუფის შექმნას და მათთვის დასახული ამოცანების გაცნობას, შეფასების მეთოდების შერჩევას, საკუთრივ შემოწმების პროცესს, შემოწმება/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას. პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოწმდება: სასწავლო პროცესი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; შეფასების შედეგები; სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა და მისი შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებთან; საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და სასწავლო კურსების მოდულებში სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობა; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობა;
ხარისხის ციკლის "გადახედე/გააუმჯობესე" ნაწილში ხდება შეუსაბამობების და ნაკლოვანებების მიზეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში - პროცესების შემდგომი გაუმჯობესების ან შენარჩუნების მექანიზმების შემუშავება. რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს SWOT ანალიზი. იგი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი- Strength და სუსტი- Weaknesses მხარეების გამოვლენის საფუძველზე, შესაძლებლობების - Opportunities საფრთხეების და რისკების-Threats განსაზღვრას გარეფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს. ზემოთაღნიშნული პროცესების განხორციელება შესაბამისი რეგულაციის მიხედვით დასტურდება ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუირების შედეგად. **ინდიკატორი 4.1.1.3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობა";
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოის შიდა მექანიზმები";
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" 2025 წლის 25 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა";
- კოლეჯის ორგანიზაციული სტრუტურა;
- კოლეჯის პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" „შინაგანაწესი"

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია, დასაქმებულსა და დამსაქმებელ შორის შრომითი ურთიერთობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N 69 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის მიზნებს, ამოცანებს, კვალიფიციური კადრების შერჩევის პროცედურებს, დასაქმების, თანამშრომელთა შენარჩუნებისა და სხვა საკითხებს. ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობისათვის, ადამიანური რესურსების მართვის მიზანია: კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა; დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა; დასაქმების გამჭირვალე პროცედურები , სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა; თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა და თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება. რაც შეეხება, ადამიანური რესურსებია ამოცანებს განსაზღვრულია შემდეგნაირად: სამუშაო ადგილის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება, თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა, თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა, შრომის შინაგანაწესისა შესრულებისა და შრომის დისციპლინის კონტროლი, თითოეული საშტატო(შტატგარეშე)თანამშრომლისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების გაწერა. აღნიშნული პოლიტიკა ასევე არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებს, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება თანასწორობას, გამჭირვალობის, სამართლიანობის პრინციპებს და შესაბამისობაშია კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებთან.

   დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლიც წარმოადგენს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, თანხმობას იმ ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხიმგებლობების შესრულებაზე, რომელიც მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სამუშაოს სანიმუშოდ შესრულება ან არაჯეროვანი შესრულება შესაძლოა გახდეს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების - წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. შტატგარეშე მოსამსახურე პერსონალის შემთხვევაში ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განსაზღვრული იყოს მხოლოდ დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო თუ შტატგარეშე მოსამსახურესთან შრომითი ურთიერთობა გაგრძელდება ერთ წლის შემდგომ პერიოდშიც, დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტით პოზიციისთვის დაამტკიცოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.

   დაწესებულებაში პერსონალის აყვანა შესაძლებელია, როგორც კონკურსის გზით ასევე, პირდაპირი დანიშვნის გზით დირექტორის გადაწყვეტილებით.

   კოლეჯის შინაგანაწესით დარეგულირებულია პერსონალთან შრომითი ურთიერთობები, რომელიც მოიცავს: სამუშაოს, შესვენების და დასვენების დროს, ზეგანაკვეთურ სამუშაოს შემთხვევებს, დასაქმებულის მიერ სამუშაოს გაცდენილი დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლას, დასაქმებულის წინასწარ ცნობილი ან წინასწარ უცნობი მიზეზებით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევებს, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხებს, დასაქმებულის შვებულებას, შეთავსებით მუშაობის უფლებას, დასაქმებულის მივლინებას, დასაქმებულის უფლება-მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს, დასაქმებულის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობების მექანიზმებს, დასაქმებული შრომის ანაზღაურების პოლიტიკას და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესით გაწერილი მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად ხორციელდება პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა, რომლითაც დაწესებულება ადასტურებს, რომ დასაქმებულთა ინტერესები დაცულია

შესწავლილი რეგულაციების, დასაქმებულთა პირადი საქმეების, კმაყოფილების კვლევის შედეგების და პერსონალის აყვანის(როგორც კონკურსის ასევე, პირდაპირ გზით) საფუძველზე დაწესებულება კანონმდებლობასთან შესაბამისად ახორციელებს პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესებს. აღნიშნული ფაქტი დასტურდება კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგებითაც.

ინდიკატორი 4.1.2.1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, პროფესიული მასწავლებლის შერჩევისას კი, დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში პროცედურებს კოლეჯი ახორციელებს კოლეჯის ან/და დასაქმების სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge). განცხადებაში მითითებულია პოზიციის დასახელება, სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი, კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები, საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია. კოლეჯის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, როგორც გარე აპლიკანტებს, ასევე კოლეჯის თანამშრომლებს. ვაკანტური თანამდებობის დაკავება დაინტერესებული პირის (აპლიკანტის) მიერ წარმოებს დოკუმენტაციის/საბუთების გადარჩევისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, რომელსაც განიხილავს და გასაუბრების შემდგომ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია.

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ორივე შემთხვევაში. ერთი კონკურსის გზით, მეორე კი პირდაპირ დირექტორის გადაწყვეტილებით. კონკურსის წესით შერჩევის შემთხვევაში დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია დასაქმების პორტალზე (www.hr.gov.ge), კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის N92 ბრძანებით დამტკიცებულია, ქსელის ადმინისტრატორის (საშტატო თანამშრომლის) შერჩევის მიზნით, საკონკურსო კომისიის შექმნა, აღნიშნული პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსის ჩატარების პირობები და ვადები. წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები, და შეფასების კომპონენტები(განათლება, სამუშაო გამოცდილება, მოტივაცია/მზაობა, კოლეჯთან თავსებადობა, კომუნიკაცია/აქტიური მოსმენა) რომელიც შეფასებულია ქულობრივი სისტემით. მაქსიმალურ ქულად განსაზღვრული იყო 4, ხოლო მინიმალურად 0. თითოეულ კომისიის წევრს ყველა აპლიკანტთან მიმართებით დაფიქსირებული ჰქონდა შესაბამისი ქულა და ბოლოს დაჯამებული იყო ქულათა საერთო რაოდენობა. საბოლოოდ, ქულათა რაოდენობისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით აღნიშნულ პოზიციაზე დაინიშნა შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე პირი. კონკურსის შედეგები კი ეცნობა მონაწილე აპლიკანტებს, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნული კონკურსი წარმიმართა ყველა პირობისა და წესის დაცვით შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან კონკურსის გარეშე 2025 წლის 01 აპრილის 25/კ ბრძანებით, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ საწარმოო პრაქტიკის პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე დაინიშნა დაინტერესებული პირი.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს.
ზემოთაღნიშნული პროცედურები დასტურდება შესწავლილი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებების შედეგად. ინდიკატორი **4.1.2.2 პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს დამტკიცებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები, სადაც გაწერილია თითოეული პოზიციისთვის შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნა. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ისეთ პუნქტს, როგორიცაა დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, პირადი განცხადება, ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, განათლების/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ასლი, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის ან მოთხოვნის შემთხვევაში),
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თითოეული თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნა და მათი შესაბამისობა ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წარმოდგენილ პირად საქმეებთან.
აღნიშნული საფუძველზე დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობას.
ინდიკატორი 4.1.2.3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; დაკმაყოფილებულია, ***თუმცა სასურველია დაწესებულებამ პირადი საქმეები დაალაგოს იმგვარად, რომ შესაბამის პოზიციაზე დანიშნული პირის მხოლოდ ის დოკუმენტები იყოს წარმოდგენილი, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. (რამდენიმე ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში გარდა ვადიანი პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტისა, მოცემული იყოს ვადაგასული პირადობის მოწმობის ასლიც, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ისეთი ცნობები, რომელთა წარმოდგენისა და შენახვის აუცილებლობა არ არსებობდა.) ეს გაამარტივებს სამუშაო პროცესის მიმდინარეობას.***

4. დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომელთა გუნდური მუშაობის პრინციპებს და მათ ჩართულობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის დირექცია, ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად შეკრების საფუძველზე, ერთობლივად არიან ჩართულნი ისეთ პროცესებში, როგორიც არის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და ერთმანეთის მოსაზრებების გათვალისწინება, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების ინიცირება(ფორმალური და არაფორმალური) და განხორციელება, პერსონალის შერჩევის პროცედურების წარმართვა, სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობა, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა, სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავება, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების განახლება/შემუშავებაში ჩართულობა და ა.შ.
აღნიშნული პროცესების წარმართვა დასტურდება კოლეჯის ადმინისტრაციულ და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც თანამშრომელთა გუნდურ მუშაობაზე მიუთითებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 4.1.2.4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაკმაყოფილბულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობა“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- .ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ „შინაგანაწესი“;
- 5.პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურები. შეფასების მიზანია, კოლეჯში დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. არსებული პრობლემების განსაზღვრა, თანამშრომლის მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა, მიღწევების აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი სამუშაოს გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, იმ საჭიროებების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა, დამატებითი სწავლებისა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომელთა განვითარების გეგმის განხორციელება, თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება, თანამშრომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების (დისციპლინური ზომები, წახალისება და სხვა) მიღება. პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების კითხვარი, აღნიშნული კითხვარის მეშვეობით ადმინისტრაციულ პერსონალს აფასებს, დირექტორის მოადგილე და მიღებულ შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პერსონალის შეფასებისათვის ასევე გამოიყენება, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ მასწავლებელთა შეფასებას, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მეცადინეობის შეფასების ფორმით, შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფორმით. პერსონალის შეფასების კითხვარზე დაყრდნობით ხდება მათი საჭიროებების კვლევა ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კვლების მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, ხოლო კვლევის საფუძველზე დგინდება პერსონალის კონსულტირებისა და ტრენინგების საჭიროება სხვადასხვა მიმართულებით. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ წარმოადგინა ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტში დანართი N2-ის შესაბამისად წარმოდგენილი პერსონალის შეფასების შევსებული ფორმები, რომელში განსაზღვრული კომპონენტებიც შეფასებულია ქულების მიხედვით და ყველა ფორმას ახლავს თან განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულმა თანამშრომლებმა ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პროცესში. ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა, ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა უმეტეს ნაწილს ესაჭიროებოდა კონსულტირება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, აღნიშნული საჭიროების შესაბამისად კოლეჯმა შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა ფიზიკურ პირთან, რომელმაც დაწესებულების წარმომადგენლებს გაუწია კონსულტაცია (ჩატარა ტრენინგები) მათი საჭიროების შესაბამისად. აღნიშნული კვლევა ჩატარდა პროფესიული მასწავლებლებისთვისაც და მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ჩატარდა შეხვედრები შეფასების პრინციპებთან და მექანიზმებთან დაკავშირებით. ზემოთაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის, რეგულაციების შესაბამისი წარმოდგენის მტკიცებულებებითა და ადმინისტრაციულ პერსონალთან/პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ დაწესებულა ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებების კვლევას. **ინდიკატორი 4.2.1.1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალისა და დასაქმებული პირების საჭიროებების კვლევას, რომლის შედეგადაც მიღებული მონაცემების საფუძველზე დგება საჭიროებების გეგმა შესაბამის თანამშრომლებთან ერთად და ეტაპობრივად ხორციელდება გეგმის შესაბამის აქტივობები. პერსონალი განვითარება შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის: პროფესიული განვითარების ღონისძიებები და საკონსულტაციო შეხვედრები, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით დაგეგმილი ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სხვა განმავითარებელი აქტივობები, ფინანსური რესურსის გამოყოფა ტრენინგებში, კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიზნით. კოლეჯი გუნდურად ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელზე მუშაობის დროსაც ყველა მონაწილე მხარე აიდენტიფიცირებს საჭიროებებს, რომლებიც გამოვლენილია მუშაობის პროცესში, ასევე შესრულებული სამუშაოს ანგარიშებში და ამის მიხედვით ხდება გეგმის შემუშავება. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად ატარებს საჭიროებების კვლევას და მიღებულ მონაცემებს ითვალისწინებს მათი განვითარების კუთხით. აღნიშნული პროცესები ასევე, დასტურდება ტრენინგებზე დასწრების დამადასტურებელი დასწრების ფურცლებისა და წარმოდგენილი კვლევის შედეგების საფუძველზე. **ინდიკატორი4.2.1.2პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლისთვის საჭირო საქმიანობების დაგეგმვას და ხელს უწყობს ყველა პედაგოგს, მისთვის საჭირო პროფესიული ტრენინგების , სწავლების და სხვა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული სერვისების მიღებაში. ტრენინგების გავლის შესახებ ინფორმაცია ასახულია მასწავლებელთა cv-ში, სერტიფიკატები განთავსებულია მათ პირად საქმეებში, შიდა ტრენინგების გავლა დასტურდება დასწრების ფურცლებით. ასევე, პროფესიულ მასწავლებლებს ჰქონდა შესაძლებლობა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ფარგლებში განევითარებინათ საკუთარი კომპეტენციები და პროფესიული უნარები, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. გარდა საერთაშორისო ვიზიტებისა, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა კონკურსებისა და ტრენინგ-კურსების შესახებ, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების მიზნით ხორციელდება. მაგალითად, რამდენიმე მიმართულების პროფესიული მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის დარგობრივ ქსელში და აზიარებს და იღებს სასარგებლო ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცესების განხორციელების რეალისტურობა დასტურდება პროფესიული მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგების საფუძველზე. **ინდიკატორი 4.2.1.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას კოლეჯს დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც არეგულირებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალ თანამშრომელს სამუშაო გარემოში კომფორტულად ინტეგრირებისთვის მიეწოდება საჭირო ინფორმაცია იურისტის, კოლეჯის დირექტორისა და კოლეჯის დირექტორის მოადგილის მიერ. ისინი აცნობენ კოლეჯის, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, შინაგანაწესს, შესასრულებელ სამუშაოს და უსახავენ ყველა იმ ორიენტირს, რომელიც აუცილებელია სამუშაოს ჯეროვნად შესასრულებლად. სამუშაო ადგილზე ახვედრებენ მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო ტექნიკას, წარდგენენ თანამშრომლებთან, მიეწოდება ინფორმაცია კოლეჯის ინფრასტრუქტურაზე. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის მიერ ადაპტაციის პერიოდის შეფასების კითხვარი, რომლითაც ის აფასებს ადაპტაციის პროცესს, რის შეცვლას/გაუმჯობესებას ისურვებდა, რა მოსწონს ყველაზე მეტად, რას ისურვებდა, რომ სცოდნოდა მაშინ, როცა იწყებდა მუშაობას და რამდენად დაემთხვა თანამშრომლის მოლოდინები და არსებული სიტუაცია ერთმანეთს. აღნიშნული პროცესების დადასტურებისათვის ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების ეფექტია**ნობა. ინდიკატორი 4.2.1.4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. დაწესებულებაში პერსონალის წახალისების მექანიზმი გაწერილია „ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ არსებობს მუხლი თანამშრომელთა მოტივირება, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებები, რომელშიც მითითებულია, რომ კოლეჯი თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებს წახალისების ფორმებს. კოლეჯის შინაგანაწესში გაწერილია დასაქმებულის წახალისების რა მექანიზმებს იყენებს დაწესებულება, ეს არის: მადლობის გამოცხადება; ფულადი პრემია; ფასიანი საჩუქარი და სადღესასწაულო პრემია. წახალისების აღნიშნული ფორმები შესაძლოა გამოყენებული იქნეს შემდეგ შემთხვევებში: კონკრეტული დამსახურებისთვის, რომელიც აღემატება დასაქმებულის ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობას და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან; კონკრეტული დამსახურებისთვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურებრივ მოვალეობაში ,მაგრამ შესრულებულია სანიმუშოდ; განსაკუთრებული სირთულის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისთვის; კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ახალისებს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც პერსონალის განვითარებისკენაა მიმართული. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით, გამოცხადებულ კონკურსში ,მონაწილეობის ერთ-ერთი პირობა დირექტორის მხრიდან რეკომენდაცია გახლდათ. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა გამოთქვა, კონკურსში მონაწილეობის სურვილი, რაც დაწესებულების ხელმძღვანელმა გაითვალისწინა. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ასევე ხელშეწყობილ იქნა პროფესიული განათლების 3 მასწავლებლის ინიციატივა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის შესახებ. ვიზიტების მონაწილეებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს კოლეგებთან და მიღებული გამოცდილება გააზიარეს. შესწავლილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების საფუძველზე კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობა“;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- .ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ „შინაგანაწესი“;
- ადმინისტრაციული და პროფესიული მასწავლებლების საჭიროებათა კვლევის შედეგები, რეკომედაციები და განხორციელებული აქტივობები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გასაუბრების ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2019 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება №1, რომლის საფუძველზეც, კოლეჯს დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს ქ. გორში, ბესიკის ქ. №2-ში (მიწის საკადასტრო კოდი: 66.45.27.059) მდებარე უძრავი ქონების - შენობა №1-ის მე-2 სართულიდან 1040კვ.მ ფართი და მასთან დაკავშირებული მოძრავი ქონება. იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაცემული აქვს 2025 წლის 27 აგვისტომდე.
   2025 წლის 29 აპრილის №453711 წერილით სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მათ მიერ ერთობლივად დაფუძნებული ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ ზემოაღნიშნული ქონების მომდევნო 6 წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. წერის თან ერთვის „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 23 იანვრის №7-01 გადაწყვეტილება და უძრავ-მოძრავი ქონების საიჯარო ქირის დადგენის შესახებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

კოლეჯმა წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 მაისის №56 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განისაზღვრა, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება და აღნიშნულის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2025 წლის ივლისისა.

კოლეჯი კეთილმოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.1.-ის, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, ***შესაბამისობა სტანდარტთან ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც მეტწილი და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.***

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 18.3. პუნქტის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით: უსაფრთხო და დაცული საგანმანათლებლო სივრცე, შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფა სეზონების მიხედვით, ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილი, მონიტორებით და სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობის მქონე აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური და ელექტრონული რესურსით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის (პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები), პირველადი სამედიცინო მომსახურება და ა.შ. კოლეჯს ჰყავს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულია, კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება.

მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომას ადასტურებენ პსდ-ს მიერ, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევის მიზნით, ჩატარებული გამოკითხვა. რომლის შედეგებით, მატერიალურ რესურსზე წვდომა, საერთო სივრცეებითა და მატერიალური რესურსით შეუზღუდავ სარგებლობა დადებითადაა შეფასებული. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.2. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის №03 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი, რომელიც აწესრიგებს კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან, დასუფთავებასთან, ნარჩენების შეგროვებასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულებაში რეგულარულად ხდება დასუფთავება. შემუშავებულია დალაგების უზრუნველყოფის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების, დასუფთავების წესი და პერიოდულობა. კოლეჯში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებსაც დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ევალებათ კოლეჯის ტერიტორიაზე სისუფთავისა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა, სათანადო ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფა სამუშაო და სასწავლო პროცესისათვის, დაწესებულებასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სისუფთავისა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვა. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯში ყოველთვის დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**
4. დაწესებულების შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ადგილებზე ვიზუალური დათვალიერებითა (ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გათბობა ჩაირთო) და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით. **ინდიკატორი 5.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავება/დანერგვას, დაწესებულების ობიექტზე კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების პირობების დანერგვას, დასაქმებული პირებისათვის სტანდარტების შესაბამისად შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნას, კუთვნილი ტექნიკის ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოების ზომების შემუშავება და მათი რეალიზაციის გზების დანერგვა, ინსტრუქტაჟების შემუშავებასა და ტრენინგის/სწავლების/ინსტრუქტაჟების ორგანიზება/ჩატარება სამუშაო ადგილებზე შრომის დაცვის მიზნით და ა.შ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შეფასებული აქვს რისკები. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები ჩატარებული ინსტრუქტაჟების შესახებ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობს საჭირო აქტივობები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მიზნით. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.5.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**
6. კოლეჯის დირექტორის ~ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის წესი, რომლის შესაბამისადაც, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით შესყიდვების მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე, მასალა ნედლეული ინახება მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. მატერიალურ რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროცესი ხორციელდება დაწესებულების დადგენილი წესის შესაბამისად. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.6.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**
7. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №61 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (ცვლილება 20.05.2025 №49 ბრძანებით), რომლის შესაბამისადაც დაწესებულება მუდმივად ახორციელებს მატერიალური რესურსების შეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარის ფორმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კითხვარების ანალიზის და ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.7.-ის მოთხოვნა დაცულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. **კოლეჯში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.** თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია სპეციალური სანიტარული კვანძი. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
9. კოლეჯის შენობაში სასწავლო აუდიტორიებს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; ყველა სასწავლო გარემოში, ბიბლიოთეკაში, არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.9. დაკმაყოფილებულია, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**
10. ექსპერტთა მიერ დაწესებულების შენობების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას კოლეჯის შენობაში, **ინდიკატორი 5.1.1.10.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
11. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის შესაბამისადაც, ბიბლიოთეკა წარმოადგენს კოლეჯის სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს, აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის, სასწავლო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც გაწერილია სამუშაო საათები, მკითხველის უფლება-მოვალეობები ქცევის წესები და წიგნის გატანა/დაბრუნების ვადები. წესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის როგორც ბიბლიოთეკაში ასევე, ვებ გვერდზე, ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა საინვენტარიზაციო ჟურნალი, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა წიგნადი ფონდი და დადგინდა, რომ დაცულია წიგნის დამუშავების საბიბლიოთეკო წესი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.11.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 2019 წლის 27 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულება №1;
- იჯარის გაგრძელებასთან დაკავშირებული მიმოწერა, ექსპერტიზის დასკვნა;
- პსდ-ს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზები და ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- პსდ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა
- პერსონალის პირადი საქმეები
- პსდ-ს ვებ გვერდი https://gantiadi.ge
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების შესახებ აქტები
- მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა;
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის წესი“
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება (№31, 31.05.2025წ.)
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (№32, 31.05.2025)
- ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნი
- ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები: ინვენტარიზაციის კომისია, ოქმები, აქტი.
- მოხსენებითი ბარათი მატერიალური რესურსის მოთხოვნის შესახებ
- კვლევის შედეგები
- პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი (MIA 8 22 02347481, 23.08.2022 წ.) რომლითაც სააგენტო ადასტურებს პსდ-ს მდგომარეობა, მისამართზე: ქ. გორი, ბესიკის №2, შენობა №1-ის მეორე სართული, შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
   დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის გეგმაში მითითებული ადგილის დაცვით. შენობის მთელ პერიმეტრზე, საევაკუაციო გზებზე განთავსებულია მიმმართველები/მანათობელი მაჩვენებლები. შენობაში, თვალსაჩინო ადგილებზე, განთავსებულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები. არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესების პირველადი და განმეორებითი ინსტრუქტაჟის ჩანაწერები. გამოყოფილია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.
   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 5.1.2.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №62 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. დაწესებულების პრაქტიკის განხორციელების სივრცეებში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები, რომლებიც დაკომპლექტებულია ყველა საჭირო პირველადი დახმარების საშუალებებით. პირველადი დახმარების საშუალებები ვადიანია, ჰიგიენური მდგომარება - კარგი. პსდ აკონტროლებს პირველადი დახმარების საშუალებების განახლებას, წარმოდგენილია მათი შეძენის და ხარჯვის დამდასტურებელი დოკუმენტები. პირველადი დახმარების კაბინეტში წარმოებს დახმარების აღმოჩენის შესაბამისი ჩანაწერები. ყველგან, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112).

ინდიკატორი 5.1.2.2.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. შექმნილია შესაბამისი შტაბი, გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ შტაბის წევრები, ასევე ჩატარებულია ინსტრუქტაჟები საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ, რასაც ადასტურებს, როგორც დასწრების ფურცლები ასევე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.3.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. კოლეჯში წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №62 ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის პოლიციასთან, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას. კოლეჯის სივრცე აღჭურვილია უსაფრთხოების კამერებით (რომელიც იწერს მხოლოდ გამოსახულებას) რომელიც განთავსებულია შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე, იმ სივრცეებში სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები.

ამდენად, ინდიკატორი 5.1.2.4.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დასკვნა კოლეჯის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი ქ. გორში, ბესიკის ქ. №2-ში მდებარე შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- ჩატარებული ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №62 ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაცვის პოლიციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულება იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მართვის სერვისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი.

კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.

IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირების ფასდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 4 აპრილის №28 ბრძანებით) დამტკიცებული „IT რისკების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის რისკების მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, IT ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს, კოლეჯის ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროცესში მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, რისთვისაც შემუშავებული აქვს „IT რისკების მართვის პოლიტიკა“ რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 4 აპრილის №28 ბრძანებით).

დოკუმენტით იდენტიფიცირებულია საფრთხეები და რისკები, მათი პრევენციული და აღმოფხვრის ღონისძიებები, ვადები, ალტერანტიული შესაძლებლობები, რათა პსდ-ს ფუნდამენტური პროცესები წარიმართოს შეფერხების გარეშე ან უწყვეტ რეჟიმში.

დაწესებულებას საშტატო ნუსხით გათვალისწინებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის პოზიცია, რომლის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება, მ.შ. რისკების მართვა. მასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ საჭიროების შესაბამისად ის ატარებს კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა ტრენინგს ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (ბრძანება №88 11.11.2024წ.), დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების სახეები, დამუშავების პრინციპები, შენახვის ვადები და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების პრაქტიკით, პერსონალთან, პროფესიული სტუდენტებთან/მსმენელებთან ან/და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ ფორმდება შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ჯეო სეიფთისთან“ (№44, 22.05.2025წ.) რომლითაც შესყიდულია მომსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. დაწესებულების IT რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; შედეგების საფუძველზე განხორციელდება მათი გაუმჯობესება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ. ასევე წარმოდგენილია კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათი IT ინფრასტრუქტურის შემოწმებისა და შეკეთებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. დაწესებულების მატერიალური რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კოლეჯში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი. კოლეჯმა წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

დაწესებულებამ წარმოადგინა კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისასაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. დაწესებულების IT რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს მასსა და კოლეჯს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაციის მიმოცვლის ოფიციალურ გზას და აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის მხრიდან გაგზავნილი ყველა სახის ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია, რომ ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს ერთი დღისა შეატყობინოს კოლეჯს აღნიშნულის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 4 აპრილის №28 ბრძანებით) დამტკიცებული „IT რისკების მართვის პოლიტიკა“;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (ბრძანება №88 11.11.2024წ.);
- ხელშეკრულება შპს „ჯეო სეიფთისთან“ (№44, 22.05.2025წ.);
- ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- ქსელის ადმინისტრატორის სამსახურებრივი ბარათი;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. წესის დაცვა სავალდებულოა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის. საქმისწარმოების წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - „eflow"-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3. დაწესებულება ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ასევე მოხდა გასაუბრება რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან. ასევე ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ენახათ რეესტრის მონაცემები, შედეგად დადასტურება, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.

   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. **დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან,** რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. ძირითადად შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხისმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის მიწოდება შესაბამისი პირებისათვის. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული. **ინდიკატორი 5.2.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის - რეესტრის წარმოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://gantiadi.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/gantiadi.ge ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
   ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.
2. დაწესებულების მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. კოლეჯს არ აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდი, თუმცა წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, უცხოენოვანი ვებგვერდის შექმნისათვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2025 წლის ივლისი.
   ამდენად, ინდიკატორი 5.2.3.2., დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, მეტწილ შესაბამისობაშია.
   დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ინგლისურენოვანი ვებგვერდის მომზადება.
3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2025“, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია; კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სერვისების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ და მოცემულია ფოტო კოლაჟი. განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022,2023,2024 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2025.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში, გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები. კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.

დაწესებულების თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მისთვის მიწოდებულ სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ვებგვერდია: https://gantiadi.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/gantiadi.ge;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №102 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის საკომუნიკაციო სტრატეგია,;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2020, 2021, 2022 წლები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ ,პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის სტრატეგიული და 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და ამ ხარჯების კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინების საკითხი. დამტკიცებული ბიუჯეტის შესწავლით, დაწესებულების თვითშეფასების დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულების დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიული გეგმიდან, დგება შესყიდვების წლიური გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელება.

ინდიკატორი 5.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2. პსდ-ს მენეჯმენტის განმარტებით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში მიღებული რესურსებით. პსდ-ს ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურების, შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სხვადასხვა მომსახურების, ინვენტარის შესყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ. ასევე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. **ინდიკატორი 5.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ, კოლეჯი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წლის დასასრულს წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები. კოლეჯის ბუღალტრის ფუნქციებით განსაზღვრულია მისი ვალდებულებები, მათ შორის: ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, საბიუჯეტო პროცესის რეგულირებისათვის წინადადებების შემუშავება, საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა, სხვადასხვა უწყებებთან ვალდებულებით განსაზღვრულ ურთიერთობას და ანგარიშგება დადგენილ ვადებსა და პირობებში. **ინდიკატორი 5.3.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს. ამდენად, ინდიკატორი 5.3.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით ცვლილება ბრძანება #17 19/02/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	36
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მეხილეობა სოფლის მეურნეობის უძველესი და ძირითადი დარგია. შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში: ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ბლის, ალუბლის და ა.შ წარმოებით. რეგიონის კლიმატური პირობები და ნიადაგი ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას რაც განაპირობებს ხეხილოვანი კულტურების და ჯიშების მრავალფეროვნებას.

   ქვეყნის მასშტაბით 2024 წელს წარმოებული ხილის რაოდენობა (ყურძნისა და ციტრუსის გარდა) 243,6 ათასი ტონა იყო, რაც 25 , 2 % ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ამ ზრდაში დიდი წვლილი შიდა ქართლს მიუძღვის, რომელიც ტრადიციულად ლიდერია ვაშლისა და სხვა თესლოვანი ხილის წარმოებაში. რეგიონში ბოლო წლებში ბევრი სამაცივრე მეურნეობა შეიქმნა, რომელიც საშუალებას იძლევა ფერმერმა მთელი წლის მანძილზე ხარისხის შენარჩუნებით შეინახოს მიღებული მოსავალი, რაც დარგის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

   2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის შესანახად მოქმედებს 265 სამაცივრე მეურნეობა. მეურნეობის 68, 3 % შიდა ქართლზე მოდის ეს ნიშნავს იმას, რომ რეგიონში 181 სამაცივრე მეურნეობაა. რაც ჯამურად 15000 ტონაზე მეტი პროდუქციის შენახვის შესაძლებლობას იძლევა.

   გორის მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მეხილეობის სფეროში კვალიფიციური კადრები დეფიციტურია და წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს. წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა სწორედ იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს, რომლებიც აუცილებელია რეგიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის. მოთხოვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ თანამედროვე ტექნოლოგიებით ხეხილის მოვლა-პატრონობა, ინტენსიური ბაღების მართვა და ნაყოფიერების გაზრდა, დღემდე რჩება აქტუალურად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, აგროსასურსათო სექტორში არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა, რაც ასახულია "ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიაში". ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს დუალური პროგრამების შემუშავება დამატებას.

ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „მეხილეობა" დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „სოფლის მეურნეობა".

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა პროგრამის პაკეტი, ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს აპლიკანტთა შერჩევის ჩატარებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

კოლეჯს აღნიშნულ მისამართზე სასწავლო პროგრამისათვის „მეხილეობა" წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა თეორიული სწავლებისათვის - A გარემო და ინფორმაციული ტექნოლოგიის მოდულისთვის საჭირო - B გარემო. ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ ამ გარემოში წარმოდგენილია ყველა ის ინვენტარი, რაც საგანმანათლებლო სტანდარტით არის განსაზღვრული.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია კვოტა განსაზღვრულია 36 პროფესიულ სტუდენტზე.

დაწესებულებას არ აქვს პროგრამისათვის განსაზღვრული C გარემო. სასწავლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს დუალური მიდგომით. სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში/Secondary Vocational Qualification in Agriculture. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება. „მეხილეობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 კრედიტს. **ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე. განსაზღვრისას გაითვალისწინა მატერიალური, ადამიანური რესურსი, პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპანიების შესაძლებლობები და სხვ. კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის, თემატიკის მიხედვით და იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ადამიანური რესურსები მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართებში, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები გაწერილია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში. პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები რიგ მოდულებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის განვითარების მიზნით პედაგოგებს სასწავლო რესურსის ჩამონათვალში მითითებული აქვთ ახალი სასწავლო სახელმძღვანელოები, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ხუთ არჩევით მოდულს, ისინი ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. მოდულები შერჩეულია ლოგიკურად ჩარჩო დოკუმენტის გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. კოლეჯის წესდების თანახმად, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა“ - სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, შემუშავებულია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევი სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს, არ არის შეცდომაში შემყვანი. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობა" საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, პროგრამის მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2, B1). პაკეტი მოიცავს ასევე სწავლის შედეგების განაწილების სქემას, ხელშეკრულებებს პარტნიორ კომპანიებთან. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეხილეობა“
- კოლეჯის მისია და ხედვა
- ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- პროფესიული პროგრამის დამტკიცების ბრძანება (ცვლილებებით)
- ინტერვიურება/ გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეხილეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტსვიზიტის ფარგლებში საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობა“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები ოთხ კომპანიასთან:

შპს „აგროკომი“ , შპს „აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დათვალიერეს სასწავლო ბაზები და გავსაუბრებოდით შპს „აგროკომის“ წარმომადგენელს, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული სტუდენტების მომზადების პროცესში ჩართულობის, ასევე დავათვალიერეთ ი/მ სოფო იმერლიშვილის სასწავლო ბაზა და გავესაუბრეთ მათ წარმომადგენლობას. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს, ასევე სასწავლო ბაზები მზად არის დაუშვან სასწავლო ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, გამოყონ მათთვის ინსტრუქტორი და უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება და შეფასება. ასევე პროფესიულ სტუდენტს გადაუხადონ ხელფასი ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია წარმოდგენილ ორგანიზაციებში, რაც საკმაოდ კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებში არ იყო გამიჯნული კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია, რომ თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებული ყოფილიყო თუ რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ამათუ იმ ობიექტზე. კოლეჯმა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ხელშეკრულებები, სადაც უკვე გათვალისწინებული იყო აღნიშნული რეკომენდაცია. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეხილეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (19 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პედაგოგთა კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა განახორციელა პედაგოგებთან გასაუბრება, შეისწავლა მათი პირადი საქმეები და დაადგინა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია და გამოცდილება საუკეთესოა, რაც კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების გამოზრდის წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პედაგოგები. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა. უფლებამოსილი პირი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართში ადამიანური რესურსის შესახებ და ასახულია მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიციურობა იმის მიხედვით, პროგრამის რომელ კომპონენტს ახორციელებს, დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დასტურდება მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგებით (როგორც შიდა, ისე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული), რაზეც არსებობს მატერიალური მტკიცებულებები (სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები და სხვა.) **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. ის კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით (CD დისკზე), ასევე, ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში, დამუშავებულია გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება. ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათ ლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებისთვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. აღნიშნულ პროგრამაზე ინდ გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯი აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეხილეობა“
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობაზე, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის კონცეფციაში ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით, კოლეჯი ამ მიზნით ასევე იყენებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს. მასწავლებლები მოდულში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავენ კალენდარულ გეგმებში, პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონურობის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და დასასრულს კოლეჯი ატარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს, რისთვისაც იწვევს ფერმერთა ასოციაციის, პარტნიორი კომპანიების, დარგის წარმომადგენლებს კომისიის შემადგენლობაში. პროგრამის შეფასებისთვის კოლეჯი ასევე იყენებს შუალედური შეფასების პროცედურას, რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 86 ბრძანებით დამტკიცებულ წესში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ..**
2. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა" დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები ზოგიერთ მოდულში, ჩამონათვალში დაემატა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ასევე, განახლდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აისახა შესაბამის დანართში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებ ის პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N 416 დადგენილების შესაბამისად, დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება პროგრამაში შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდებთან მიმართებით და ასახა სასწავლო გეგმაში. პროგრამაში ცვლილება შეტანილია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეხილეობა“
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმი
- შუალედური შეფასების წესი
- ინტერვიურება/გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კალენდარულ გეგმაში ასახული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების მიზნით ცვლილების შეტანა პროგრამაში ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზეც, შედგა გასაუბრება როგორც კოლეჯში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მათ **დაადასტურეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილება, დასაქმების მზაობა და შესაძლებლობა. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა“ შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის დროს, კოლეჯმა უზრუნველყო სასწავლო პროცესის განხორციელება დისტანციურად, სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, უზრუნველყო სტუდენტთა ტრანსპორტირება პარტნიორ კომპანიაში. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის დგება კონსულტაციების გრაფიკი. პროფესიულ სტუდენტთა დიდი ნაწილი რეგიონიდანაა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დაწესებულება ითვალისწინებს მათი ტრანსპორტზე დამოკიდებულების საკითხს, რათა არ შეექმნათ პრობლემები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არსებული ასევე ახალი ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ფერმერთა ასოციაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები . მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების ორი მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს, სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რისთვისაც კოლეჯი ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით. რაც შეეხება სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებას სასწავლო პროცესში, მობილობას, წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარებას ან სხვ. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ასევე, კოლეჯში შემუშავებულია კონსულტაციების გრაფიკი, სტუდენტებს შეუძლიათ მასწავლებლებისგან მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაცია. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი კომპანიების: შპს „ აგროკომი“ , შპს „ აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი ბაზაზე, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. **აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მეხილეობა" თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - პარტნიორ საწარმოებში - სწავლება ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, დამონტაჟებულია კამერები, ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 20 იანვარი N07 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. გარდა ამისა, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- პსდ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის
- გაფორმებული ხელშეკრულებები
- „საგანგებო მართვის გეგმა“,
- ჟურნალი უსაფრთხოების საკითხებზე
- ტრენინგების გავლის შესახებ
- გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შუალედური გამოცდისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებიც. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
2. კოლეჯში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სიტემა, რომელიც მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. იგი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (ბოლო ცვლილება №49, 20.05.2025) შესაბამისად გაწერილი პროცედურის დაცვით. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი-შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასება მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას/ შედეგის (პროდუქტის) შეფასებას/ გამოკითხვას. ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებენ შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირები - შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და შენახვას. როდესაც პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეფასების ინსტრუმენტები აღირიცხება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სანამ პროფესიული სტუდენტი სწავლას დაასრულებს, ხოლო შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც მას 3 წლის განმავლობაში ინახავენ, რათა უზრუნველყონ შეფასების სრული და უსაფრთხო აღრიცხვა. ამ პერიოდში, თუ დოკუმენტაციის შენახვის ვადა იწურება, ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4. კოლეჯში შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. დაწესებულების პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს, რაც აღირიცხება მოდულის განხორციელების სტატისტიკური მონაცემების/შეფასებების აღრიცხვის დოკუმენტში. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2..4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ
III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მებოსტნეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით ცვლილება: N 107 18.11.2019 წ., N 60 9.10.2020 წ., N 13 25.02. 2022 წ. ცვლილება ბრძანება #17 19/02/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	36
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

9. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
10. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
11. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
13. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
14. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
15. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
16. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შიდა ქართლი (მათ შორის გორის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აგრარული რეგიონია, აქ მებოსტნეობა ტრადიციული მიმართულებაა, განსაკუთრებით იმ ადგილებში სადაც წყალმომარაგება ადვილად ხელმისაწვდომია. გორის რაიონში შედის 120 სოფელი, რომლის მოსახლეობის შემოსავლების მთავარ წყაროს სწორედ მებოსტნეობა წარმოადგენს, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად. გორის მუნიციპალიტეტში სოფლის მოსახლეობა თვითდასაქმებულია სწორედ სოფლის მეურნეობის ხარჯზე, რაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკას ძალიან ეხმარება. ბოლო კვლევებით გორის მუნიციპალიტეტში უმუშევართა რაოდენობა 12% -ია. მიუხედავად იმისა რომ ტრადიციული გამოცდილებით თითქმის ყველა ადამიანი ვინც ჩართულია მებოსტნეობაში ფლობს გარკვეულ ცოდნას, მაგრამ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა რომ კვალიფიციური განათლების მიღება აუცილებელია, რადგან შემოდის უამრავი ახალი ჯიში, შეცვლილია კლიმატი, ნიადაგი და ა.შ. ის რომ ჩვენი კოლეჯის მებოსტნეობის პროგრამა კარგად მუშაობს და საჭიროა გვიჩვენებს ჩვენივე გამოცდილება და პარტნიორებთან აქტიური ურთიერთობა.
   საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, აგრო სასურსათო სექტორში არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა, რაც ასახულია "ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიაში". (ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოდულური პროგრამების შემუშავება დამატებას. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებოსტნეობა“ დამატება სრულ შესაბამისობაშია ა(ა)იპ კოლეჯ “განთიადის” მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან

ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „მებოსტნეობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „სოფლის მეურნეობა“.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა პროგრამის პაკეტი, ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს აპლიკანტთა შერჩევის ჩატარებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

კოლეჯს აღნიშნულ მისამართზე სასწავლო პროგრამისათვის „მებოსტნეობა“ წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა თეორიული სწავლებისათვის - A გარემო და ინფორმაციული ტექნოლოგიის მოდულისთვის საჭირო - B გარემო. ვიზუალურმა დათვალიერებამ აჩვენა, რომ ამ გარემოში წარმოდგენილია ყველა ის ინვენტარი, რაც საგანმანათლებლო სტანდარტით არის განსაზღვრული.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია კვოტა განსაზღვრულია 36 პროფესიულ სტუდენტზე.

დაწესებულებას არ აქვს პროგრამისათვის განსაზღვრული C გარემო. სასწავლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს დუალური მიდგომით. სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. **ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე. განსაზღვრისას გაითვალისწინა მატერიალური, ადამიანური რესურსი, პარტნიორი კომპანიების შესაძლებლობები და სხვ. კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის, თემატიკის მიხედვით და იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ადამიანური რესურსები მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართებში, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები გაწერილია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში. პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები რიგ მოდულებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის განვითარების მიზნით პედაგოგებს სასწავლო რესურსის ჩამონათვალში მითითებული აქვთ ახალი სასწავლო სახელმძღვანელოები, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.
6. კოლეჯის წესდების თანახმად, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებოსტნეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მებოსტნეობა“ - სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, შემუშავებულია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევი სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს, არ არის შეცდომაში შემყვანი. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია.**
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებოსტნეობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობა" საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, პროგრამის მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2, B1). პაკეტი მოიცავს ასევე სწავლის შედეგების განაწილების სქემას, ხელშეკრულებებს პარტნიორ კომპანიებთან. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მებოსტნეობა“
- კოლეჯის მისია და ხედვა
- ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- პროფესიული პროგრამის დამტკიცების ბრძანება (ცვლილებებით)
- ინტერვიურება/ გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეხილეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს. ვიზიტის ფარგლებში საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობა“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

   მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები ოთხ კომპანიასთან:

   შპს „ აგროკომი“ , შპს „ აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დათვალიერეს სასწავლო ბაზები და გავსაუბრებოდით შპს „აგროკომის“ წარმომადგენელს, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული სტუდენტების მომზადების პროცესში ჩართულობის, ასევე დავათვალიერეთ ი/მ სოფო იმერლიშვილის სასწავლო ბაზა და გავესაუბრეთ მათ წარმომადგენლობას. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს, ასევე სასწავლო ბაზები მზად არის დაუშვან სასწავლო ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, გამოყონ მათთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტრუქტორი და უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება და შეფასება. ასევე პროფესიულ სტუდენტს გადაუხადონ ხელფასი ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია წარმოდგენილ ორგანიზაციებში, რაც საკმაოდ კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებში არ იყო გამიჯნული კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია, რომ თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებული ყოფილიყო თუ რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ამათუ იმ ობიექტზე. კოლეჯმა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ხელშეკრულებები, სადაც უკვე გათვალისწინებული იყო აღნიშნული რეკომენდაცია. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებოსტნეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (15 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პედაგოგთა კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა განახორციელა პედაგოგებთან გასაუბრება, შეისწავლა მათი პირადი საქმეები და დაადგინა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია და გამოცდილება საუკეთესოა, რაც კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების გამოზრდის წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა. უფლებამოსილი პირი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართში ადამიანური რესურსის შესახებ და ასახულია მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიციურობა იმის მიხედვით, პროგრამის რომელ კომპონენტს ახორციელებს, დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დასტურდება მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგებით (როგორც შიდა, ისე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული), რაზეც არსებობს მატერიალური მტკიცებულებები (სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები და სხვა.) **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. ის კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით (CD დისკზე), ასევე, ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში, დამუშავებულია გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება. ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათ ლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებისთვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. აღნიშნულ პროგრამაზე ინდ გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებოსტნეობა“ სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯი აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მებოსტნეობა“
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კოლეჯს პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობაზე, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის კონცეფციაში ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით, კოლეჯი ამ მიზნით ასევე იყენებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს. მასწავლებლები მოდულში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავენ კალენდარულ გეგმებში, პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონურობის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და დასასრულს კოლეჯი ატარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს, რისთვისაც იწვევს ფერმერთა ასოციაციის, პარტნიორი კომპანიების, დარგის წარმომადგენლებს კომისიის შემადგენლობაში. პროგრამის შეფასებისთვის კოლეჯი ასევე იყენებს შუალედური შეფასების პროცედურას, რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 86 ბრძანებით დამტკიცებულ წესში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ..**
2. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებოსტნეობა“ დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები ზოგიერთ მოდულში, ჩამონათვალში დაემატა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ასევე, განახლდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, რაც აისახა შესაბამის დანართში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებ ის პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N 416 დადგენილების შესაბამისად, დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება პროგრამაში შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდებთან მიმართებით და ასახა სასწავლო გეგმაში. პროგრამაში ცვლილება შეტანილია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მებოსტნეობა“;
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმი
- შუალედური შეფასების წესი
- ინტერვიურება/გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კალენდარულ გეგმაში ასახული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნით ცვლილების შეტანა პროგრამაში ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზეც, შედგა გასაუბრება როგორც კოლეჯში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მათ **დაადასტურეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილება, დასაქმების მზაობა და შესაძლებლობა. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მებოსტნეობა“ შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის დროს, კოლეჯმა უზრუნველყო სასწავლო პროცესის განხორციელება დისტანციურად, სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, უზრუნველყო სტუდენტთა ტრანსპორტირება პარტნიორ კომპანიაში. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის დგება კონსულტაციების გრაფიკი. პროფესიულ სტუდენტთა დიდი ნაწილი რეგიონიდანაა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დაწესებულება ითვალისწინებს მათი ტრანსპორტზე დამოკიდებულების საკითხს, რათა არ შეექმნათ პრობლემები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული ასევე ახალი ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ფერმერთა ასოციაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები . მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების ორი მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს, სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რისთვისაც კოლეჯი ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით. რაც შეეხება სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებას სასწავლო პროცესში, მობილობას, წინმსწრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფორმალური განათლების აღიარებას ან სხვ. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ასევე, კოლეჯში შემუშავებულია კონსულტაციების გრაფიკი, სტუდენტებს შეუძლიათ მასწავლებლებისგან მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაცია. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი კომპანიების: შპს „აგროკომი“ , შპს „ აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი ბაზაზე, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. **აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებოსტნეობის“ თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - პარტნიორ საწარმოებში - სწავლება ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, დამონტაჟებულია კამერები, ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 20 იანვარი N07 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადის“ „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. გარდა ამისა, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- პსდ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის
- გაფორმებული ხელშეკრულებები
- „საგანგებო მართვის გეგმა“,
- ჟურნალი უსაფრთხოების საკითხებზე
- ტრენინგების გავლის შესახებ
- გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შუალედური გამოცდისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებიც. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
2. კოლეჯში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სიტემა, რომელიც მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. იგი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (ბოლო ცვლილება №49, 20.05.2025) შესაბამისად გაწერილი პროცედურის დაცვით. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი-შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასება მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას/ შედეგის (პროდუქტის) შეფასებას/ გამოკითხვას. ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.
   შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებენ შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირები - შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და შენახვას. როდესაც პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეფასების ინსტრუმენტები აღირიცხება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სანამ პროფესიული სტუდენტი სწავლას დაასრულებს, ხოლო შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც მას 3 წლის განმავლობაში ინახავენ, რათა უზრუნველყონ შეფასების სრული და უსაფრთხო აღრიცხვა. ამ პერიოდში, თუ დოკუმენტაციის შენახვის ვადა იწურება, ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში. ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4. კოლეჯში შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. დაწესებულების პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს, რაც აღირიცხება მოდულის განხორციელების სტატისტიკური მონაცემების/შეფასებების აღრიცხვის დოკუმენტში. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2..4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ
V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით ცვლილება: N 107 18.11.2019 წ., N 60 9.10.2020 წ., N 13 25.02. 2022 წ. ცვლილება: ბრძანება #17 19/02/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ საკმარისად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება განხორციელების საჭიროების შესახებ. დოკუმენტში მითითებულია ინფორმაცია და კონკრეტული შედეგები, ექსპერტებისთვის წარდგენილი ჩატარებული კვლევის დოკუმენტები. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მკაფიოდ ჩანს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, აგროსასურსათო სექტორში არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა, რაც ასახულია "ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიაში". ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მოდულური პროგრამების შემუშავება დამატებას. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა" დამატება სრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისობაშია ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან. **ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „მეფუტკრეობის" დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „სოფლის მეურნეობა".

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა პროგრამის პაკეტი, ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს აპლიკანტთა შერჩევის ჩატარებას.

ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე. განსაზღვრისას გაითვალისწინა მატერიალური, ადამიანური რესურსი, პარტნიორი კომპანიების შესაძლებლობები და სხვ. კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის, თემატიკის მიხედვით და იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ადამიანური რესურსები მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართებში, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები გაწერილია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში. პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები რიგ მოდულებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის განვითარების მიზნით პედაგოგებს სასწავლო რესურსის ჩამონათვალში მითითებული აქვთ ახალი სასწავლო სახელმძღვანელოები, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა"არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

6. კოლეჯის წესდების თანახმად, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წ. 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეფუტკრეობის“ - სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, შემუშავებულია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევი სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს, არ არის შეცდომაში შემყვანი. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია.**
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობა" საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, პროგრამის მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2, B1). პაკეტი მოიცავს ასევე სწავლის შედეგების განაწილების სქემას, ხელშეკრულებებს პარტნიორ კომპანიებთან. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეფუტკრეობა“
- კოლეჯის მისია და ხედვა
- ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- პროფესიული პროგრამის დამტკიცების ბრძანება (ცვლილებებით)
- ინტერვიურება/ გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით „მეფუტკრეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A და B გარემოები, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს,რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა;
   ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები . რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
2. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეფუტკრეობა“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის 20 განმახორციელებელი, მათ შორის 2 დარგის სპეციალისტი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; უფლებამოსილი პირი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართში ადამიანური რესურსის შესახებ და ასახულია მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი 2.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტისთვის შესაბამისი შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებლებს, რომელმაც აღწერეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
4. დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. ის კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი

მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით (CD დისკზე), ასევე, ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში, დამუშავებულია გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება. ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათ ლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებისთვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. აღნიშნულ პროგრამაზე ინდ გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯი აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეფუტკრეობა“
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობაზე, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის კონცეფციაში ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით, კოლეჯი ამ მიზნით ასევე იყენებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს. მასწავლებლები მოდულში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავენ კალენდარულ გეგმებში, პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონურობის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და დასასრულს კოლეჯი ატარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს, რისთვისაც იწვევს ფერმერთა ასოციაციის, პარტნიორი კომპანიების, დარგის წარმომადგენლებს კომისიის შემადგენლობაში. პროგრამის შეფასებისთვის კოლეჯი ასევე იყენებს შუალედური შეფასების პროცედურას, რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 86 ბრძანებით დამტკიცებულ წესში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ..**
2. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N89 ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები ზოგიერთ მოდულში, ჩამონათვალში დაემატა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ასევე, განახლდა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, რაც აისახა შესაბამის დანართში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებ ის პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N 416 დადგენილების შესაბამისად, დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება პროგრამაში შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდებთან მიმართებით და ასახა სასწავლო გეგმაში. პროგრამაში ცვლილება შეტანილია ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის ბრძანებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მეხილეობა“
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმი
- შუალედური შეფასების წესი
- ინტერვიურება/გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კალენდარულ გეგმაში ასახული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების მიზნით ცვლილების შეტანა პროგრამაში ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზეც, შედგა გასაუბრება როგორც კოლეჯში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მათ **დაადასტურეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილება, დასაქმების მზაობა და შესაძლებლობა. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეფუტკრეობა“ შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის დროს, კოლეჯმა უზრუნველყო სასწავლო პროცესის განხორციელება დისტანციურად, სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, უზრუნველყო სტუდენტთა ტრანსპორტირება პარტნიორ კომპანიაში. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის დგება კონსულტაციების გრაფიკი. პროფესიულ სტუდენტთა დიდი ნაწილი რეგიონიდანაა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დაწესებულება ითვალისწინებს მათი ტრანსპორტზე დამოკიდებულების საკითხს, რათა არ შეექმნათ პრობლემები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არსებული ასევე ახალი ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ფერმერთა ასოციაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები . მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების ორი მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს, სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რისთვისაც კოლეჯი ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით. რაც შეეხება სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებას სასწავლო პროცესში, მობილობას, წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარებას ან სხვ. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ასევე, კოლეჯში შემუშავებულია კონსულტაციების გრაფიკი, სტუდენტებს შეუძლიათ მასწავლებლებისგან მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაცია. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი კომპანიების ბაზაზე, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია ურთიერთთანამშრომლობის ყველა ძირითადი ასპექტი. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის გამოცდილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით და შეუძლიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული მოდულების სწავლის შედეგების სწავლება/შეფასება. ჰსდ ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები - ფ/პ ვლადიმერ ბერიანიძესთან და ფ/პ გაიოზ ხაჩიურთან.**აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - პარტნიორ საწარმოებში - სწავლება ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, დამონტაჟებულია კამერები, ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 20 იანვარი N07 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. გარდა ამისა, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- პსდ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის
- გაფორმებული ხელშეკრულებები
- „საგანგებო მართვის გეგმა“,
- ჟურნალი უსაფრთხოების საკითხებზე
- ტრენინგების გავლის შესახებ
- გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შუალედური გამოცდისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებიც. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
2. კოლეჯში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სიტემა, რომელიც მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. იგი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (ბოლო ცვლილება №49, 20.05.2025) შესაბამისად გაწერილი პროცედურის დაცვით. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი-შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას/ შედეგის (პროდუქტის) შეფასებას/ გამოკითხვას. ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებენ შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირები - შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და შენახვას. როდესაც პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეფასების ინსტრუმენტები აღირიცხება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სანამ პროფესიული სტუდენტი სწავლას დაასრულებს, ხოლო შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც მას 3 წლის განმავლობაში ინახავენ, რათა უზრუნველყონ შეფასების სრული და უსაფრთხო აღრიცხვა. ამ პერიოდში, თუ დოკუმენტაციის შენახვის ვადა იწურება, ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4. კოლეჯში შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. დაწესებულების პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს, რაც აღირიცხება მოდულის განხორციელების სტატისტიკური მონაცემების/შეფასებების აღრიცხვის დოკუმენტში. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2..4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

VII. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №18 19/02/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

VIII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის სპეციალისტების საჭიროება საქართველოში ბოლო წლებში მზარდ ტენდენციას აჩვენებს, რაც განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით: ქართული მოდის ინდუსტრიის განვითარებით, ტექსტილის წარმოების აღორძინების ტენდენციის ზრდით, ქვეყნაში საერთაშორისო ბრენდების შემოსვლით და ონლაინ ვაჭრობის ზრდით. ყოველივე ეს მოითხოვს შესაბამისი უნარების მქონე სპეციალისტებს, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა-უნარები: ტანსაცმლის ესკიზის შექმნა, კოსტიუმის ისტორიის საფუძვლები, სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება, ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ტექნოლოგია, ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება. ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მოდულური პროგრამების შემუშავება დამატებას. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამატება სრულ შესაბამისობაშია ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადის" მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან.

ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდისა ტექნოლოგიისა და დიზაინის“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობისა და ხელს უწყობს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა პროგრამის პაკეტი, ჩარიცხვის წესი ითვალისწინებს აპლიკანტთა შერჩევის ჩატარებას.
ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ადგილების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე. განსაზღვრისას გაითვალისწინა მატერიალური, ადამიანური რესურსი, პარტნიორი კომპანიების შესაძლებლობები და სხვ. კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**
4. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის, თემატიკის მიხედვით და იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ადამიანური რესურსები მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართებში, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები გაწერილია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში. პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განახლდა სასწავლო რესურსები რიგ მოდულებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის განვითარების მიზნით პედაგოგებს სასწავლო რესურსის ჩამონათვალში მითითებული აქვთ ახალი სასწავლო სახელმძღვანელოები, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**
5. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს, ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება. ის ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. მოდულები შერჩეულია ლოგიკურად ჩარჩო დოკუმენტის გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

6. კოლეჯის წესდების თანახმად, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წ. 19 თებერვლის №18 ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ იდენტურია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია**
8. .პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შეცვლისა და გაუქმების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები და ა.შ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 90 კრედიტი, ხოლო იმ პირებმა, ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
- კოლეჯის მისია და ხედვა
- ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია
- პროფესიული პროგრამის დამტკიცების ბრძანება (ცვლილებებით)
- ინტერვიურება/ გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელების ფორმა კოოპერაციულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია არა მხოლოდ კოლეჯში არსებული რესურსით, არამედ პარტნიორი კომპანიის პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსითაც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
   პროგრამის თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციელებლად შესაბამისად აღჭურვილი C გარემო, საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
2. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (16 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პედაგოგთა კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა განახორციელა პედაგოგებთან გასაუბრება, შეისწავლა მათი პირადი საქმეები და დაადგინა, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია და გამოცდილება საუკეთესოა, რაც კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების გამოზრდის წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პედაგოგები. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა. უფლებამოსილი პირი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე მოცემულია პროგრამის შესაბამის დანართში ადამიანური რესურსის შესახებ და ასახულია მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიციურობა იმის მიხედვით, პროგრამის რომელ კომპონენტს ახორციელებს, დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დასტურდება მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგებით (როგორც შიდა, ისე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული), რაზეც არსებობს მატერიალური მტკიცებულებები (სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები და სხვა.) **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
4. დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. ის კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით (CD დისკზე), ასევე, ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში, დამუშავებულია გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. **ზემოაღნიშნულის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება. ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათ ლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებისთვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. აღნიშნულ პროგრამაზე ინდ გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“ სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯი აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობაზე, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის კონცეფციაში ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით, კოლეჯი ამ მიზნით ასევე იყენებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს. მასწავლებლები მოდულში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავენ კალენდარულ გეგმებში, პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონურობის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და დასასრულს კოლეჯი ატარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს, რისთვისაც იწვევს ფერმერთა ასოციაციის, პარტნიორი კომპანიების, დარგის წარმომადგენლებს კომისიის შემადგენლობაში. პროგრამის შეფასებისთვის კოლეჯი ასევე იყენებს შუალედური შეფასების პროცედურას, რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 86 ბრძანებით დამტკიცებულ წესში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ..**
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავების, დამატების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, იგეგმება სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სასწავლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
- ხარისხის მართვის შიდა მექანიზმი
- შუალედური შეფასების წესი
- ინტერვიურება/გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კალენდარულ გეგმაში ასახული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების მიზნით ცვლილების შეტანა პროგრამაში ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზეც, შედგა გასაუბრება როგორც კოლეჯში სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მათ **დაადასტურეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილება, დასაქმების მზაობა და შესაძლებლობა. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა“ შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის დროს, კოლეჯმა უზრუნველყო სასწავლო პროცესის განხორციელება დისტანციურად, სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, უზრუნველყო სტუდენტთა ტრანსპორტირება პარტნიორ კომპანიაში. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის დგება კონსულტაციების გრაფიკი. პროფესიულ სტუდენტთა დიდი ნაწილი რეგიონიდანაა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დაწესებულება ითვალისწინებს მათი ტრანსპორტზე დამოკიდებულების საკითხს, რათა არ შეექმნათ პრობლემები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „სწავლა სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული ასევე ახალი ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ფერმერთა ასოციაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები . მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების ორი მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, სადაც გაეცნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს, სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რისთვისაც კოლეჯი ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით. რაც შეეხება სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნებას სასწავლო პროცესში, მობილობას, წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარებას ან სხვ. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ასევე, კოლეჯში შემუშავებულია კონსულტაციების გრაფიკი, სტუდენტებს შეუძლიათ მასწავლებლებისგან მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაცია. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, პარტნიორი კომპანიების: სამკერვალო „სომას“ და შპს „ლიდერის“ ჩართულობით, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. **აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. განსაზღვრულია სამუშაო ადგილის ორგანიზება, მუშაობის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა, პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები, სამუშაო შესრულების დროს უსაფრთხოების წესები და პირველადი დახმარების პროცედურები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. A/C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთოხების დაცვის წესები. ხოლო პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია რომ კომპანია იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს უსაფრთხოების ნორმები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- პსდ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- გაფორმებული ხელშეკრულებები
- გასაუბრება
- ვიზუალური დათვალიერება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შუალედური გამოცდისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებიც. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.,**
2. კოლეჯში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სიტემა, რომელიც მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. იგი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №61 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (ბოლო ცვლილება №49, 20.05.2025) შესაბამისად გაწერილი პროცედურის დაცვით. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი-შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასება მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას/ შედეგის (პროდუქტის) შეფასებას/ გამოკითხვას. ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

   შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებენ შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირები - შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკატორი არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, ამ გეგმების მიხედვით განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტების სრული ვერსიები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გეგმები, რომლებშიც შეტანილი იყო კომენტარები უკვე განხორციელებული ქმედებების დადასტურების შესახებ.

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და შენახვას. როდესაც პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეფასების ინსტრუმენტები აღირიცხება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სანამ პროფესიული სტუდენტი სწავლას დაასრულებს, ხოლო შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც მას 3 წლის განმავლობაში ინახავენ, რათა უზრუნველყონ შეფასების სრული და უსაფრთხო აღრიცხვა. ამ პერიოდში, თუ დოკუმენტაციის შენახვის ვადა იწურება, ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

4. კოლეჯში შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას, კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. დაწესებულების პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს, რაც აღირიცხება მოდულის განხორციელების სტატისტიკური მონაცემების/შეფასებების აღრიცხვის დოკუმენტში. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2..4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	25
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	25
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	9
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

პროგრამის სახელწოდება	სამღებრო სამუშაოების შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732ქ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	11
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	14
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	18 (მათ შორის 7 ინტეგრირებული)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	167
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	137ხ

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	105

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	25
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

11.07.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---